№101 ორშაბათი
21 დეკემბერი 2015 წელი
40 თ (გურიის გარეთ 1 ლარი)

გურია

NEWS

გაზეთი "გურია ნიუსი"
გამოდის კვირაში ორჯერ
www.gurianews.com

"ევროპა ამბობს, რომ ღია საქართველოს მოქალაქეებისთვის"

▶3,5

სიკვდილს გადარჩენილი ოჯახები და ხელისუფლების პოზიცია

▶9

გამოკითხვა – რით იყო გამორჩეული თქვენთვის 2015 წელი?

▶4,5

მთავარი თემა

საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში პრეპარატი "ჰარვონი" შემოდის

(გურია ნიუსი, თბილისი) _ C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში ახალი თაობის რევოლუციური პრეპარატი „ჰარვონი" შემოდის– აღნიშნული სიახლის შესახებ საქართველოს პრემიერ–მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ დავით სერგეენკოსთან ერთად გამართულ ბრიფინგზე ისაუბრა.

საქართველოს მთავრობის მეთაურის განმარტებით, C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის პირველმა ეტაპმა წარმატებით ჩაიარა და ახალი ხელშეკრულების ხელმოწერამდე, საქართველომ ამერიკელი პარტნიორებისგან მიიღო C ჰეპატიტის პროგრამის უწყვეტად გაგრძელების გადაწყვეტილება.

„პირველივე ეტაპზე პროექტმა დაიმსახურა მაღალი შეფასება რამდენიმე საერთაშორისო კონფერენციაზე. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ ჩვენი პროექტი შეაფასა როგორც ერთ-ერთი საუკეთესო და ჩვენი ამერიკელი პარტნიორების სიტყვები რომ მოვიშველიო, „საქართველო გახდა მაგალითი სხვა ქვეყნებისთვის, თუ როგორი უნდა იყოს გლობალური მიდგომა ამ ვირუსთან მიმართებით".

დღეს, გვინდა გაცნობოთ ძალიან მნიშვნელოვანი სიახლე - მალე საქართველოში შემოვა კიდევ ერთი უახლესი თაობის პრეპარატი - „ჰარვონი", რომლის გამოყენებაც უფრო ეფექტიანს გახდის მკურნალობას და მეტი პაციენტი გამოჯანმრთელდება,"– განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, C ჰეპატიტის პროგრამაში ჩართულმა პაციენტებმა, რომელთაც მკურნალობის სრული კურსი გაიარეს, განიკურნენ და მათმა სრულმა უმრავლესობამ უკვე დაამარცხა C ჰეპატიტის ვირუსი.

უპრეცედენტო პროგრამის განხორციელებისთვის, პრემიერ–მინისტრმა მადლობა გადაუხადა ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს, ამერიკულ მხარეს, ჯანდაცვისა და სასჯელაღსრულების სამინისტროებს, სამედიცინო პერსონალს.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს განმარტებით, ამერიკელმა პარტნიორებმა პროგრამის უწყვეტად გაგრძელების გადაწყვეტილება მიიღეს. მანვე თხოვნით მიმართა საზოგადოებას, ჩაერთონ C ჰეპატიტზე უფასო სკრინინგის პროგრამაში, რათა დადგინდეს, არის თუ არა პირი ინფიცირებული და დროულად მოხდეს მკურნალობის ჩატარება.

C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა 2015 წლის მაისში ამოქმედდა. იგი მოიცავს პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის კომპონენტს.

მისამართი: ჩოხატაური _
ნოდარ დუმბაძის ქ. #25,
☎ 22010, (599)207470
ოზურგეთი _
ჭავჭავაძის გამზირი, #4,
მე-3 სადარბაზო,
I სართული, ბინა32
ლანჩხუთი _
ნოე ჟორდანიას ქ. #114/3
თბილისი _ ☎ (832)102001
Email: guria@gurianews.com

გამოქვეყნებული მასალების
შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს
რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თავად აგებენ პასუხს
ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიო მასალები
ინახება ორი კვირის განმავლობაში;
ამ ვადის გასვლის შემდეგ
პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისგან არ მიიღებს
სამ ხელნაწერ გვერდზე
ვრცელ მასალას და
შეუკვეთავ წერილებში
ჰონორარს არ გასცემს.

გამოქვეყნებული მასალების
გადაბეჭდვა რედაქციის
ნებართვის გარეშე
აკრძალულია!

გამომცემელი ია მამალაძე
Email: ia@gurianews.com
მთავარი რედაქტორი
გიორგი სიხარულიძე
Email: gia@gurianews.com
ოფისის მენეჯერი
ვარდო ანდღულაძე
☎571903990
სარეკლამო სამსახურის უფროსი
დაკა ბერძენიშვილი
☎577725854
სტილი და კორექტურა
ნინო ბერძენიშვილი
☎551181096
ფინანსური მენეჯერი
თამარ მეფარიშვილი
☎599217485
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დავით ჩხიკვაძე
☎571903989

განცხადებების ფასები

ნებისმიერი სახის განცხადება:
სიტყვა _ 30 თეთრი;

სურათიანი განცხადება _
დამატებით ორი ლარი

სამგლოვიარო განცხადებების
განთავსების მიზნით ფართის
შეძენისას,
ღირებულება იანგარიშება
შესაბამისი გვერდის ფასის _
400 ლარის მიხედვით.

რეკლამის ფასები

არაპოლიტიკური რეკლამა:
1 კვადრატული სანტიმეტრის ფასი
(მთლიანი გვერდის ზომაა
1000 კვადრატული სანტიმეტრი)

პირველ გვერდზე (ფერადი): _
1.75 ლარი;
მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეცხრე:
_ 0.4 ლარი;
ბოლო გვერდზე (ფერადი) _
0.70 ლარი;
დანარჩენ გვერდებზე _ 0.28 ლარი.

შავ-თეთრი გვერდის ფერადად
დაბეჭდვა _ დამატებით 200 ლარი.

პოლიტიკური რეკლამის
ღირებულება ორმაგია.

გაზეთი დაბეჭდილია
შპს "ასავალ-დასავალის სტამბა"-ში.
მისამართი: ქ. თბილისი, აგლაძის ქ. 39,
ტელ: 2343330.
ელ-ფოსტა: print@asavali.ge

დაფინანსებული ფართი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების _
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება "აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ"
საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის
2015 წლის 26 ნოემბრის #1-1/506 ბრძანების შესაბამისად.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ხორციელდება E-60 ჩქაროსნული საავტომობილო გზის სამტრედია-გრიგოლეთის მონაკვეთის კმ42+000-კმ51+570 (ლოტი IV) პროექტი. პროექტის განმახორციელებელი უწყების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, სამტრედია-გრიგოლეთის მონაკვეთის კმ42+000-კმ51+570 პროექტის ფარგლებში, დამუშავდა და ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) მიერ დამტკიცდა მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა.

E-60 ჩქაროსნული საავტომობილო გზის სამტრედია-გრიგოლეთის მონაკვეთის კმ42+000-კმ51+570 (ლოტი IV) პროექტის განხორციელებისას წარმოიშვა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული, კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოს მიერ გამოსყიდვის აუცილებლობა. მესაკუთრეებს წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით (ლოტი IV) განსაზღვრული საკომპენსაციო თანხის სანაცვლოდ. ამავე შეტყობინებით მესაკუთრეები ინფორმირებულ იქნენ, რომ მათი უარის შემთხვევაში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იმოქმედებდა "აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და პროექტის ფარგლებში მოქცეულ მათ საკუთრებაზე/საკუთრების ნაწილზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით მიმართავდა კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ უძრავი ქონების გამოსყიდვის შესახებ შეთანხმება მიღწეულ იქნა მესაკუთრეების უმეტეს ნაწილთან, ხოლო შეთანხმებამიუღწეველი ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა "აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მიზნით საკითხის განმხილველი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2013 წლის 17 ივნისის #1-1/164 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველ კომისიის მიერ.

2015 წლის 26 ნოემბერს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის N1-1/506 ბრძანება "აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე", რომლითაც ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე 2015 წლის 11 დეკემბერს).

E-60 ჩქაროსნული საავტომობილო გზის სამტრედია-გრიგოლეთის მონაკვეთის კმ42+000-კმ51+570 (ლოტი IV) პროექტით განსაზღვრული სამუშაოებისათვის საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს ესაჭიროება შემდეგი უძრავი ქონება:

უძრავი ქონების საკადასტრო კოდი _ #27.15.50.219. საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 2131 კვ.მ ნაწილი - მესაკუთრე ბესიკ ჩხარტიშვილი (პ/ნ 61002010762);

უძრავი ქონების საკადასტრო კოდი _ #27.15.50.156. საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 9263 კვ.მ ნაწილი _ მესაკუთრე ალექსანდრე ევგენიძე (პ/ნ 26001004890);

უძრავი ქონების საკადასტრო კოდი _ #27.15.50.158. საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 4131 კვ.მ ნაწილი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა _ მესაკუთრე ალექსანდრე ევგენიძე (პ/ნ 26001004890);

უძრავი ქონების საკადასტრო კოდი _ #27.15.47.057. საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 1928 კვ.მ ნაწილი _ მესაკუთრე ელგუჯა ზოიძე (პ/ნ 26001026773);

უძრავი ქონების საკადასტრო კოდი _ #27.15.47.063. საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთი 2101 კვ.მ და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა _ მესაკუთრე მამია დოლიძე (პ/ნ 26001029840);

უძრავი ქონების საკადასტრო კოდი _ #27.15.47.064. საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთი 100 კვ.მ _ მესაკუთრე მამია დოლიძე (პ/ნ 26001029840);

უძრავი ქონების საკადასტრო კოდი _ #27.15.47.031. საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 232 კვ.მ. ნაწილი _ მესაკუთრე ირაკლი დოლიძე (პ/ნ 26001027006);

თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საკადასტრო კოდი _ #27.15.47.120. საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთი 700 კვ.მ და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა. თანამესაკუთრეები: გული ჭანტურია (პ/ნ 26001014359); თამარ ჭანტურია (პ/ნ 26001025154); მარინე ჭანტურია (პ/ნ 26001025155);

თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საკადასტრო კოდი _ #27.15.46.134. საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 442 კვ.მ ნაწილი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა _ თანამესაკუთრეები: ბექა დვალიშვილი (პ/ნ 26001034597); დარია დვალიშვილი (პ/ნ 26001018713);

თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საკადასტრო კოდი _ #27.15.44.006. საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 1424 კვ.მ ნაწილი _ თანამესაკუთრეები: ვაჟა ტიკარაძე (პ/ნ 26001008565); ვაჟა ტიკარაძე (პ/ნ 26001034795); ლილი კვაჭაძე (პ/ნ 26001015334); მაია ტიკარაძე (პ/ნ 26001025854); მალხაზ ტიკარაძე (პ/ნ: 26001006641);

თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საკადასტრო კოდი _ #27.15.44.095. საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 1222 კვ.მ ნაწილი _ თანამესაკუთრეები: როზა თოიძე (პ/ნ 26001005550); პაატა ვასაძე;

უძრავი ქონების საკადასტრო კოდი _ # 27.15.45.026. საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 1640 კვ.მ ნაწილი _ მესაკუთრე თემურ გურგენიძე (პ/ნ 61001040581);

უძრავი ქონების საკადასტრო კოდი _ #27.15.45.248. საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 2178 კვ.მ ნაწილი _ მესაკუთრე დავით შარიქაძე (პ/ნ 62003014685);

უძრავი ქონების საკადასტრო კოდი _ #27.15.45.249. საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 586 კვ.მ ნაწილი _ მესაკუთრე დავით შარიქაძე (პ/ნ 62003014685);

თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საკადასტრო კოდი _ #27.14.45.173. საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 2076 კვ.მ ნაწილი _ თანამესაკუთრეები: ნაზი მჟავია (პ/ნ 26001033040); უჩა მჟავია (პ/ნ 26001025870); შალვა მჟავია (პ/ნ 26001012255); ხვიჩა მჟავია (პ/ნ 61003011122).

პროექტისათვის საჭირო მიწის ნაკვეთებზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი უახლოეს ხანებში მიმართავს სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრეებს დამატებით ეცნობებათ სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლო განხილვის თარიღი.

სამახსოვრო ჩინოვნიკებისთვის

საქართველოს ზოგადი აღმინისტრაციული კოდექსი
თავი III. ინფორმაციის თავისუფლება

მუხლი 28. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

საჯარო ინფორმაცია ღიაა გარდა საკანონმდებლო აქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ანდა, როდესაც ღიაობა აშკარად და გარდაუვლად არსებით ზიანს მიაყენებს:

ა) ეროვნულ უსაფრთხოებას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მისი გამხელა დაემუქრება დაგეგმილი ან განხორციელების პროცესში მყოფი სამხედრო, სადაზვერვო ან დიპლომატიურ ქმედებათა განხორციელებას და მათ მონაწილეთა ფიზიკურ უსაფრთხოებას;

ბ) სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიებას, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მისი გამხელა საფრთხეს შეუქმნის სამართალდამცავი ან სადაზვერვო სამსახურების კონფიდენციალური წყაროების იდენტიფიცირებას, ხელს შეუშლის დანაშაულის თავიდან აცილებას, გამოვლენას, აღკვეთასა და დამნაშავის პასუხისგებაში მიცემას, საფრთხეს შეუქმნის ნებისმიერი პირის სიცოცხლესა და ფიზიკურ უსაფრთხოებას ან შელახავს ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის უფლებას გამოძიების საიდუმლოებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გამოტანილია დადგენილება ამ ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ძებნის შესახებ.

მუხლი 36. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაადგინოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოხელე.

მუხლი 37. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა.

მუხლი 38. საჯარო ინფორმაციის ასლის ხელმისაწვდომობა

საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა.

მუხლი 40. გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ

1. საჯარო დაწესებულება ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ დაუყოვნებლივ.

2. საჯარო დაწესებულება ვალდებულია აცნობოს განმცხადებელს მიღებული გადაწყვეტილების, მისი საფუძვლის და შესაბამისი ნორმატიული აქტის შესახებ.

მუხლი 41. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმასაჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების პროცედურა, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას.

"გურია ნიუსის" ჟურნალისტთა ეთიკური კოდექსი

❖ ჟურნალისტი ვალდებულია თქვას სიმართლე, გადაამწმოს მიღებული ინფორმაცია და დააზუსტოს ყველა მხარის ინტერესები, არ შელახოს პიროვნების უფლებები, უდანაშაულობის პრეზუმპცია და დაიცვას ინფორმაციის წყაროს პირადულობა.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია პირველ რიგში დაიცვას მოქალაქეთა უფლებები და საზოგადოების ინტერესები, არ დაუშვას დისკრიმინაცია ნებისმიერ საფუძველზე.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია თავისი ცხოვრების წესისგან გამომდინარე, შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა მათგან, ვისზეც ის წერს.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია ასრულებდეს ნებისმიერ ძალაუფლებაზე დამოუკიდებელ მონიტორინგს სამოქალაქო ჟურნალისტიკის პრინციპების სასარგებლოდ.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია არ გააზვიადოს მოვლენები, შეინარჩუნოს სიმშვიდე, მზად იყოს უარის ან შეურაცხყოფისთვისაც კი.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია არ იყოს არც ერთი პოლიტიკური პარტიის ან პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი, არ დაუშვას შეფარული ან პირდაპირი რეკლამა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის საფუძველზე არ დაუშვას კერძო ან ეკონომიკური ხასიათის გავლენა მასზე.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია განსაკუთრებით დაიცვას ბავშვთა უფლებები, ხელშეუხებლად მიიჩნიოს მისი პიროვნების საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბების პროცესი.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია ფართოდ ითანამშრომლოს კოლეგებთან, შექმნას კომპრომისული და მიმტევებლობის ატმოსფერო.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია სიტყვით, საქმით და სამოქალაქო პასუხისმგებლობით დაიცვას ჩვენი გაზეთის ინტერესები და ეს ეთიკური კოდექსი გაზეთის პოპულარობისა და პრესტიჟის გასაზრდელად.

"ევროპა ამბობს, რომ ღიაა საქართველოს მოქალაქეებისთვის"

ნატო გოგელია
გურია ნიუსი

"პრინციპული თანხმობა უვიზო მიმოსვლაზე და ისტორიული დღე საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის" _ ასე აფასებს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ევროკომისიის ანგარიშს საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით, რომელიც 18 დეკემბერს გამოქვეყნდა.

საქართველოს მთავრობის მეთაურის თქმით, კომისიამ ცალსახად განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ წარმატებით შეასრულა ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებები და სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციისთვის საჭირო ყველა რეფორმა სრულყოფილად განხორციელდა.

ირაკლი ღარიბაშვილი მიიჩნევს, რომ საქართველომ დღეს, ევროინტეგრაციის გზაზე, გადადგა ნაბიჯი, რომელიც დიდწილად განსაზღვრავს ჩვენს მომავალს ევროპულ სახელმწიფოთა ერთიან ოჯახში. "წარმატებული რეფორმების შედეგად ჩვენ უკვე მივაღწიეთ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას. ამის შემდეგ, ერთმნიშვნელოვნად პოზიტიური შეფასება ვიზა ლიბერალიზაციის გზაზე თავისუფალი, ძლიერი და ერთიანი საქართველოს შენების ურყევ საფუძველს კიდევ უფრო განამტკიცებს. კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე მომდევნო წლიდან საქართველოს მოქალაქეებს უნდა მიეცეთ ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობა. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ მოქალაქეები ხვალვე აიღებენ ბილეთებს და ევროპაში უვიზოდ გაემგზავრებიან. საბოლოო გადაწყვეტილებამდე გასავლელია ეტაპები, რაც სხვა ქვეყნების გამოცდილებით, რამდენიმე თვეს მოიცავს. თუმცა, დღეს ამ პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა", - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი ღარიბაშვილის შეფასებით, ევროკავშირმა ფაქტობრივად აღიარა საქართველოს განუხრელი ერთგულება ევროპული ფასეულობებისადმი, წინსვლა ევროპული თანამეგობრობისკენ სწრაფვის გზაზე და საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევამ, რეფორმების სწრაფად და ეფექტიანად განხორციელების გზაზე, ევროპელი კოლეგების მაღალი შეფასება დაიმსახურა. "საქართველომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ "აღმოსავლეთ პარტნიორობის" ლიდერია. პასუხად ევროპა ამბობს, რომ ღიაა საქართველოს მოქალაქეებისთვის. დღეს ჩვენ თანამედროვეთა და მრავალი თაობის ოცნება ახდა. მიუხედავად მრავალი შიდა თუ გარე წინააღმდეგობისა, ხალხისა და ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევით - შედეგი მიღწეულია.

ამ ისტორიული გადაწყვეტილებით ქვეყნის განვითარების ახალი ეტაპი იწყება. საქართველოს წინაშე სრულიად ახალი შესაძლებლობები ისახება. ევროპელებთან ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარება, ყველა დონეზე ურთიერთობათა გაღრმავება, ქალაქების დაძმობილება, სტუდენტური და სამოქალაქო გაცვლითი პროგრამები, ევროპის ასოციაციებში გაწევრიანება, თავისუფალი ვაჭრობა _ სულ მალე ეს ყველაფერი სრულიად ახალ, უფრო ღრმა და შინაარსიან განზომილებას შეიძენს. ჩვენი მოქალაქეები შეძლებენ ევროკავშირში ნახევარი წლის განმავლობაში 90 დღის მანძილზე უვიზოდ შესვლას. შეგეძლებათ ევროპაში იმოგზაუროთ ოჯახთან ერთად, დაგეგმოთ საქმიანი ვიზიტი, ეწვიოთ მეგობრებს, ნათესავებს, ჩაერთოთ საზაფხულო სკოლებში, მონაწილეობა მიიღოთ კონფერენციებსა თუ გამოფენებში", _ განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროპასა და საქართველოს შორის შთამბეჭდავი თანამშრომლობის ამ მაგალითის უკან დგას მრავალი ადამიანის ძალისხმევა, ქვეყნის ყველა საჯარო სტრუქტურის პროფესიონალიზმი, ასევე, უდიდესი მხარდაჭერა, რომელსაც საქართველო ევროპელი პარტნიორებისგან, ევროკავშირისგან წლების განმავლობაში იღებს.

მთავრობის მეთაური მადლობას უხდის ყველას, ვინც თავი არ დაზოგა, რომ ეს მიზანი რეალობად ქცეულიყო. "უპირველეს ყოვლისა, მადლობა ეკუთვნის ქართველ ხალხს, ვისაც ყველაზე რთულ პერიოდებშიც კი არასოდეს დაუყენებია კითხვის ნიშნის ქვეშ, რომ ევროპა _ მისი ფასეულობები და ცხოვრების წესი _ არა უბრალოდ რაციონალური არჩევანია, არამედ ჩვენი ისტორიული სახლი. ამ სიტყვაში _ ევროპა, განსახიერებულია ყველაფერი, რისკენაც მივისწრაფვით: თითოეული მოქალაქის თავისუფლება და კანონის უზენაესობა, კეთილდღეობა და თანასწორობა, მშვიდობა და ნათელი მომავალი ჩვენი შვილებისათვის, განვითარების პირობები ყველასთვის. რაც მთავარია _ ესაა ჩვენი უნიკალურობის, თვითმყოფადობის სრულად რეალიზების სივრცე. და ესაა გზა საქართველოს ერთიანობისკენ!

მხოლოდ თანამედროვე ევროპული ქვეყნის შენებით გავხდით ჩვენ ქვეყანას მიმზიდველს აფხაზი და ოსი ძმებისთვის. დადგება დღე, როცა ისინიც სრულად ისარგებლებენ სიკეთეებით, რაც ევროპულ ინტეგრაციას მოაქვს. ეს წარმატება არის ახალი გზის დასაწყისი. კიდევ ერთხელ გილოცავთ ჩვენი ქვეყნის ამ გამარჯვებას!", - მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მოქალაქეებს.

ეს ისტორიული დღე 18 დეკემბერს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ზეიმით აღნიშნეს. სამთავრობო დაწესებულებზე, კულტურული ძეგლებზე, ხიდებზე, გზებზე, ბილბორდებზე ევროკავშირის დროშები განთავსდა. მოქალაქეები კი ამ უმნიშვნელოვანეს ფაქტს დროშების ფრიალით და სიგნალებით შეგვხვდნენ.

რას ნიშნავს უვიზო რეჟიმი?

უვიზო რეჟიმი გულისხმობს თავისუფალ გადაადგილებას შენგენის ზონის ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს ევროკავშირის 22 წევრ ქვეყანას, ევროკავშირის 4 არაწევრ ქვეყანას და შენგენის 4 კანდიდატ ქვეყანას:

წევრი ქვეყნები: ავსტრია, ბელგია, გერმანია, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი, ჩეხეთი.

არაწევრი ქვეყნები: ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია და შვეიცარია;

კანდიდატი ქვეყნები: ბულგარეთი, კვიპროსი, რუმინეთი, ხორვატია;

გამონაკლისს წარმოადგენს ევროკავშირის 2 წევრი ქვეყანა: დიდი ბრიტანეთი და ირლანდია (ამ ქვეყნების ვიზის მისაღებად საქართველოს მოქალაქეებმა უნდა მიმართონ შესაბამის საკონსულო სამსახურებს).

უვიზო რეჟიმი შესაძლებლობას აძლევს საქართველოს მოქალაქეებს ვიზის გარეშე განახორციელონ მხოლოდ მოკლევადიანი ვიზიტები; მოკლევადიანი ვიზიტი გულისხმობს 90 დღეს ნებისმიერი 180 დღის განმავლობაში.

ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში 90 დღის პერიოდით ყოფნის შემდეგ საქართველოს მოქალაქემ უნდა დატოვოს ამ ქვეყნის ტერიტორია. ევროკავშირის/შენგენის სივრცეში მომდევნო შესვლა შესაძლებელია მომდევნო 90 დღის (ჯამში 180 დღე) პერიოდის გასვლის შემდეგ.

მოკლევადიანი ვიზიტი შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა მიზნით: ტურისტული, ოჯახის წევრების/ახლობლების მონახულება, ბიზნეს-შეხვედრები, მოკლევადიანი სასწავლო და გაცვლითი პროგრამები/ტრეინინგი, კურსები, კულტურულ ან სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა, მკურნალობა და სხვა. ნებისმიერი ასეთი ვიზიტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 90 დღეს;

უვიზო რეჟიმი არ შეეხება ევროკავშირის/შენგენის წევრ სახელმწიფოებში გრძელვადიან ვიზიტებს განათლების მიღების, მუშაობის ან სხვა მიზნით.

ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე ხანგრძლივი პერიოდით დარჩენის სურვილის შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქეებმა უნდა მიმართონ საქართველოში აკრედიტებულ შესაბამისი ქვეყნის საკონსულოს ვიზის მისაღებად.

სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად 90 დღიან პერიოდში ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე მრავალჯერადი შესვლა შესაძლებელია, თუმცა სა-

▶5

ყურადღება!

2015 წლის 23 დეკემბერს, დღის 12 საათზე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სხდომათა დარბაზში გაიმართება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის საჯარო განხილვა

მისამართი: დ. ჩოხატაური, წერეთლის ქ.#2,

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ყურადღება!

2015 წლის 24 დეკემბერს, დილის11 საათზე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავის ადმინისტრაციული ერთეულის ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში გაიმართება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის საჯარო განხილვა

მისამართი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელი ხიდისთავი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გუბერნიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას სამინისტროში არ ადასტურებენ

გიორგი გირკელიძე
გურია ნიუსი

გურიის გუბერნიის მიერ ოფიციალურად მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მთის განვითარების ეროვნული საბჭოს სხდომაზე, მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მქონე დასახლებათა ნუსხა დამტკიცდა. გუბერნატორის პრესსამსახურის უფროსის, ნინო ლომჯარიას თქმით, გურიის რეგიონში მაღალმთიანი დასახლების სტატუსი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფლებს _ ზოტსა და ჩხაკაურას მიენიჭა.

"რაც შეეხება რეგიონში არსებული დანარჩენი სოფლების ნუსხას, მათი განხილვა გაგრძელდება და შესაძლოა, კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, გურიაში არსებული მაღალმთიანი სტატუსის მქონე დასახლებათა რაოდენობა 2016 წლის პირველ აპრილამდე გაიზარდოს", _ გვითხრა **ნინო ლომჯარიამ**.

აღნიშნულ ინფორმაციას არ ადასტურებენ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში. **უწყების პრესსამსახურის ხელმძღვანელის, ხათუნა პაიჭაძის** ინფორმაციით, ამ ეტაპზე ცნობილი არ არის თუ რომელ სოფელს მიენიჭა მაღალმთიანი დასახლების სტატუსი: "სამინისტრომ უკვე რეკომენდაციით მიმართა საქართველოს მთავრობას. აქედან გამომდინარე, ველოდებით მთავრობის დადგენილებას და შემდეგ გახდება ცნობილი იმ სოფლების სია, რომელთაც მიენიჭათ მაღალმთიანი დასახლების სტატუსი", _ თქვა ჩვენთან სატელეფონო საუბრის დროს ხათუნა პაიჭაძემ.

სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭებათ სოფლებს: ასკანას, მთისპირს, ჯუმათს, ვაკიჯვარს და შემოქმედის თემში შემავალ სოფელ გომს; ხოლო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტიდან _ კურორტ ბახმაროს, ნაბეღლავს, ქვაბღას, დიდივანს, ზემოსურებს და შუასურებს.

ხათუნა პაიჭაძე ამბობს, რომ ეს ძველი სიაა და მასში ცვლილებები მოხდა.

აქცია ძალადობის წინააღმდეგ

(გურია ნიუსი, ლანჩხუთი) _ 18 დეკემბერს, ლანჩხუთში, გამგეობის სოციალური სამსახურისა და საკრებულოს შესაბამისი კომისიის ინიციატივით, სოლიდარობის აქცია _ "არა _ ძალადობას" გამართა, რომელსაც საკრებულოსა და გამგეობის სხვა თანამშრომლებიც შეუერთდნენ. *"ნებისმიერი ძალადობრივი ფაქტი მიუღებელია! დროა, ხმამაღლა გავაპროტესტოთ თითოეული მოძალადის ქმედება და ხალხს მოვუწოდოთ მშვიდობიანი თანაცხოვრებისკენ",* _ აღნიშნეს აქციის მონაწილეებმა.

სოლიდარობის აქციაში მონაწილეობა მიიღეს სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმაც და საკუთარი დამოკიდებულება ძალადობის მიმართ ნახატებით გადმოსცეს.

ჩვენი გამოკითხვა

რით იყო გამორჩეული თქვენთვის 2015 წელი?

ლენა ჩიგოგიძე:

_ ყველაფერი კარგი იყო, არის ცოტა უკეთესობა.

მალხაზ გიორგაძე:

_ ჯერჯერობით სიკეთისკენ არაფერი, ცოტა უკეთესობა იგრძნობა, მაგრამ ბევრი არაფერი.

შოთა ლობჟანიძე:

_ არაფრით. ბევრ კარგს ველოდებოდით, მაგრამ სასიკეთო არაფერი მომხდარა. ველოდებოდით ნატოში შესვლას, ევროკავშირში მგონი გავწევრიანდებით, რუსეთთანაც რომ გახსნილიყო ვაჭრობა, უკეთესი იქნებოდა.

დარეჯან ბოლქვაძე:

_ ისეთი არაფერი ყოფილა, სათქმელად ღირდეს.

გური ცენტერაძე:

_ როგორც უბრალო კაცი, არ ვარ უკმაყოფილო.

ხარიტონ სანიკიძე:

_ მშვიდობით და სიწყნარით, თუმცა, დიდად კმაყოფილი არ ვარ.

ქალაქის მთავარი დოკუმენტი 45 წუთში განიხილეს

გიორგი გირკელიძე
გურია ნიუსი

17 დეკემბერს, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის განხილვა მოეწყო. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში წლის მთავარი დოკუმენტი ქალაქ ოზურგეთის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, მარიკა ნაცვალაძემ წარადგინა.

პროექტის წარდგენის შემდეგ, **არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის"** აღმასრულებელმა დირექტორმა ლევან ხინთიბიძემ საკრებულოს რამდენიმე კითხვით და შენიშვნით მიმართა.

ხინთიბიძის თქმით, კარგი იქნება, თუ ბიუჯეტის პროექტის განხილვას უფრო მეტი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი დაესწრება: *"ვიცი, რომ გავრცელებული იყო ინფორმაცია და ჩვენ მივესალმებით, თუ მოქალაქეები აქტიურობას გამოიჩენენ"*, _ აღნიშნა ხინთიბიძემ და დასძინა, რომ სასურველია, ბიუჯეტის პროექტი უფრო ჩაშლილი იყოს.

ამასთან დაკავშირებით, ნაცვალაძემ განაცხადა, რომ პროექტი ნამდვილად ჩაშლილია და წერილობით მიმართვის შემთხვევაში, მზადაა ბიუჯეტის პროექტი არასამთავრობო ორგანიზაციებს და დაინტერესებულ პირებს მიაწოდოს.

"გურია ნიუსი" დაინტერესდა რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობის პროგრამით, რომლისთვისაც 55 ათასი ლარია გათვალისწინებული.

მარიკა ნაცვალაძის თქმით, ეს თანხა გამოყოფილია ქალაქში არსებული ეკლესია-მონასტრების სარემონტო სამუშაოებისა და კომუნალური გადასახადებისთვის. მისივე თქმით, თანხა სხვა რელიგიური ორგანიზაციებისთვის გათვალისწინებული არ არის.

"გურია ნიუსი", ასევე, დაინტერესდა ახალი პროექტით, რომელსაც "კომუნალური სუბსიდირება" ჰქვია. პროექტისთვის 15 ათასი ლარია გამოყოფილი.

ამ პროგრამის მეშვეობით სოციალურად დაუცველებს, რომელთა ქულა 30 ათასამდეა, კომუნალური გადასახადებისთვის კონკრეტული თანხა მიეცემათ.

ასევე, დავინტერესდით სახელმწიფო ანსამბლ "გურიას" დაფინასებით, რომლიც 185 ათას ლარს შეადგენს და წინა წელთან შედარებით დაფინანსების თანხა 55 ათასი ლარით არის გაზრდილი.

შეგახსენებთ, რომ ბიუროს სხდომაზე ეს საკითხი ერთ-ერთი დეპუტატის და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის დაპირისპირების თემად იქცა _ დეპუტატი გოჩა მგელაძე თანხის შემცირებას ითხოვდა, მაგრამ ამჯერად ამ საკითხთან დაკავშირებით პრეტენზია არავის გამოუთქვამს.

2016 წლის ბიუჯეტის პროექტი ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ლავრენტი ბიგვავამ დადებითად შეაფასა.

მისი თქმით, წინა წლებთან შედარებით, ეს არის "ნამდვილად უკეთესი ბიუჯეტი". 2016 წლის მთავარი დოკუმენტს 2015 წლის ბოლოს დაამტკიცებენ.

"ფაქიზოს" დამსგავსებული ბიუჯეტის შესრულება საეჭვოა

სოფო წილოსანი
გურია ნიუსი

მაშინ, როცა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის მთავარი საფინანსო დოკუმენტის პროექტი განხილვის სტადიაშია, საკრებულოს წევრთა ნაწილს კვლავაც აეჭვებს მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულებას.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის როლანდ ლაშხიას ვარაუდით, წლის ბოლომდე დარჩენილ მოკლე დროში შესრულების მაჩვენებელი, სავარაუდოდ, 86% იქნება.

ბიუროს სხდომაზე **როლანდ ლაშხიამ** ინფორმაცია გააკეთა, თუ რა ცვლილებებია გასახორციელებელი ბიუჯეტში, რომელსაც საკრებულოს 25 დეკემბრისთვის ჩანიშნულ სხდომაზე უნდა ეყაროს კენჭი. კერძოდ, ბიუჯეტში უნდა აისახოს ის 350 ათასი ლარი, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების მიერ სტიქიის სალიკვიდაციოდ ჩამოირიცხა. გარდა ამისა, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ინფორმაციის მიხედვით, ბიუჯეტში გასახორციელებელი ცვლილება ხარჯვით ნაწილში სეკვესტრსაც ითვალისწინებს.

"დარჩენილ პერიოდში გამოიკვეთა, რომ ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 150-170 ათასი ლარით შემცირდება. დღეის მონაცემებით, შემოსავლის ნაწილში ორი მილიონ 22 ათასი ლარია მობილიზებული. ასევე, მოსალოდნელია 70 ათასი ლარის ჩამორიცხვაც. აი, ასეთი მდგომარეობაა დარჩენილ დროში ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით", _ თქვა ლაშხიამ.

როგორც გაირკვა, წლის მიწურულს, სეკვესტრი ბიუჯეტის ვერშესრულებითაა გამოწვეული, რაც საკრებულოს უმრავლესობამ აღიარა კიდეც.

საკრებულოს წევრი **რომან ბიწაძე** ერთადერთი დეპუტატია უმრავლესობიდან, რომელმაც, თავის დროზე, მხარი არ დაუჭირა 2015 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტს. იგი ახლაც სკეპტიკურადა უყურებს ბიუჯეტის შესრულებას და ვარაუდობს, რომ ა(ა)იპ-ებში წლის ბოლოს გაუცემელი დარჩება ხელფასები.

"მაინტერესებს, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა, როცა ზედმეტი ტვირთი ავკიდეთ და გავწირეთ ბიუჯეტი ჩასავარდნად. ეს ბიუჯეტი რომ არ შესრულდებოდა, ამაზე ჯერ კიდევ გასულ წელს, პროექტის განხილვისას ვამბობდი. ამასთან დაკავშირებით, გარკვეული პასუხისმგებლობა საკრებულოსაც გაგვაჩნია და ხელს აღმასრულებელი რგოლისკენ ნუ გავიშვერთ მთლად. აგვისტოში ყოვლად დაუსაბუთებელი ზრდა მოხდა, ისედაც ნოდარ დუმბაძის "ფაქიზოს" დამსგავსებულ ბიუჯეტს დამატებით 700 ათასი ლარი ავკიდეთ. ახლა კი მივდივართ სეკვესტრზე. რატომღაც ამ სიტყვის ხსენება არ გვინდა და ვამბობთ, ხარჯვითი ნაწილის შემცირებაო. მითხარით, ბოლოს როდის განიცადა ბიუჯეტმა სეკვესტრი?! მაინტერესებს, ვგრძნობთ კი საკრებულოს წევრები ჩვენს წილ პასუხისმგებლობას ამასთან დაკავშირებით?! ბიუჯეტის ჩავარდნას ლანჩხუთის "გურიას" გავარდნა არ ჯობია?! თუ ბიუჯეტი ვერ შესრულდა, ა(ა)იპ-ები წლის ბოლოს ხელფას როგორ მიიღებენ?!" _ კითხვები დასვა ბიწაძემ.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, ალექსანდრე სარიშვილის თქმით, მიმდინარე წლის ბიუჯეტი გადაჭარბებითაც კი შესრულდებოდა, რომ არა ის 700-ათასლარიანი მატება, რომელიც აგვისტოში გახორციელდა საფეხბურთო კლუბ ლანჩხუთის "გურიას" დასაფინანსებლად.

ფრაქცია "ქართული ოცნება-კონსერვატორების" თავმჯდომარის ალექსანდრე მახათაძის აზრით, ბიუჯეტის შესრულება მანამ იქნება პრობლემური, სანამ საფეხბურთო კლუბის დაფინანსება ამ ბიუჯეტიდან მოხდება: *"შომავალ წელსაც იგივე განმეორდება _ საფეხბურთო კლუბი ისევ შემოვა თანხის მატების მოთხოვნით"*, _დასძინა მახათაძემ.

"ფაქტია, რომ 2015 წლის ბიუჯეტი არ სრულდება. გამგეობა საკრებულოში 170 ათასი ლარის ხარჯვითი ნაწილის შემცირებით შემოვიდა, ამას სეკვესტრი ქვია. ეს ტერმინი კი 2000 წელს მერე არ მსმენია", _ ამბობს ბიუროს წევრი, დეპუტატი **ელგუჯა ჩხაიძე.**

გარდა ბიუროს წევრებისა, მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულებას ეჭვქვეშ აყენებენ საკრებულოს სხვა რიგითი დეპუტატებიც, რომელთა აზრით, ბიუჯეტი არასწორადაა დაგეგმილი.

"ეს არის გაუგონარი ბიუჯეტი, რომელიც ჯარიმებზეა დამოკიდებული. ჩვენი ბიუჯეტი შეიძლება გათვალო მხოლოდ მილიონნახევარზე, პრაქტიკულად, მეტი ადგილობრივი შემოსავალი ჩვენ არ გვაქვს, რომელიც ქონებასა და ბუნებრივ რესურსებზეა ორიენტირებული", _ ამბობს **გიორგი გოგუაძე.**

საკრებულოს წევრი ნონა მურვანიძე მიიჩნევს, რომ ბიუჯეტის შესრულება საუკეთესო "ოცნებაა": *"ეს ძალიან პრობლემურად აისახება მთელ რიგ სამსახურებზე. მარტივად რომ ვთქვათ, ეს გამოიწვევს ხელფასების მიუღებლობასაც და სამსახურებრივი ფუნქციების შესრულების შეფერხებასაც"*.

პედაგოგები და აღსაზრდელები კვამლით სავსე ოთახში

ნატო გოგელია
გურია ნიუსი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის #1 საბავშვო ბაგა-ბაღში ბუნებრივი აირი რამდენიმე წელია შეყვანილია, თუმცა, არასწორი მონტაჟის გამო, ბაღის ნაწილის გათბობა ვერ ხერხდება. ამიტომ აღსაზრდელების გასათბობად შეშის ღუმელია დამატებული. თუმცა, ღუმელიდან კვამლი გამოდის და პედაგოგები და აღსაზრდელები კვამლით სავსე ოთახში არიან.

აბოლებული ღუმელი საბავშვო ბაღში | ფოტო: ბექა უნგიაძე

ბაგა-ბაღის გამგე მარინა დოლიძე ამბობს, რომ ეს პრობლემა არ არის: _ *ეს სახლშიც შეიძლება მოხდეს. ცეცხლის დანთების დროს ღუმელიდან კვამლი ყოველთვის გამოდის. მხოლოდ ერთ ოთახში დგას ღუმელი იმისთვის, რომ დილით ბავშვებს არ შესცივდეთ და სითბო იყოს. ახლა შეგიძლიათ მობრძანდეთ და ნახოთ, რომ კვამლი აღარ გამოდის* **(საუბარი ჩაწერილია 18 დეკემბერს)** , _ გვითხრა დოლიძემ.

ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელი ნინო ბარამიძე ამბობს, რომ ამის შესახებ ინფორმაციის არ ფლობს: _ ბევრი ვეცადე, რომ გაზგაყვანილობის სისტემა *მოწესრიგებულიყო, თუმცა არაფერი გამომივიდა. რამდენჯერმე ბათუმიდან ჩამოვიყვანე კიდეც იმ კომპანიის წარმომადგენელი, რომელმაც სამუშაოები ჩაატარა, მაგრამ არაფერი გამოსწორდა. რაც შეეხება ღუმელს, ახალია. ახლახან ვიყიდეთ ღუმელიც, მილებიც და ჩემთან არ შემოსულა შეტყობინება, რომ კვამლი გამოდის. დღეს ქარიც არ არის და არ ვიცი, რა ხდება. გავარკვევ და შეგატყობინებთ,* _ გვითხრა ბარამიძემ, თუმცა, ამ საუბრის შემდეგ ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელს ჩვენთან დაკავშირების სურვილი არ გასჩენია, მიუხედავად იმისა, რომ ამ ყველაფრის ამსახველი ვიდეოკადრები "გურია ნიუსის" ვებგვერდზე www.gurianews.com პარასკევ დილით აიტვირთა.

უნდა ითქვას ისიც, რომ ჩვენ მიერ გამოქვეყნებულ კადრებში კარგად ჩანს, თუ რა პირობებში მუშაობენ პედაგოგები და რა პირობებში უწევთ ყოფნა აღსაზრდელებს. ვიდეომასალიდან ისიც ირკვევა, რომ ღუმელი ახალ დანთებული არ არის და მარტივად რომ ვთქვათ, საბავშვო ბაღის ერთერთ ოთახში "კარგად უბერავს". თან ეს "დაბერვა" ბიუჯეტის ხარჯზეა, რადგან აღნიშნული ბაღში როგორც გაზგაყვანილობის, ასევე სხვა სახის სარემონტო სამუშაოებზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტიდან სოლიდური თანხაა დახარჯული.

მკითხველს იმასაც შევახსენებთ, რომ აღნიშნულ ბაღში (სხვა 4 ბაღის მსგავსად) უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოებზე "გურია ნიუსმა" ჟურნალისტური გამოძიება ჩაატარა. გამოძიების შემდეგ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიურო მოიწვია, რომლის დასკვნაშიც აღნიშნულია, რომ სამუშაოები ხარისხიანად არ იყო შესრულებული და ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა მიზნობრივად არ დახარჯულა. ამის გამო სამშენებლო კომპანიის ხელმძღვანელიც კი დააკავეს, თუმცა იმ ადამიანებს, რომლებმაც უხარისხო სამუშაოები ჩაიბარეს, პასუხი არ უგიათ. მიღებაჩაბარების კომისიის არც ერთ წევრს ხმამაღალი საყვედურიც კი არ მიუღია. კომისიას, სარემონტო სამუშაოების მსგავსად, უხარისხოდ შესრულებული გაზგაყვანილობის სამუშაოების "ხარისხიანად ჩაბარებისთვისაც" არ უგია პასუხია. როგორც ირკვევა, მავანს არც იმ კომპანიის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაყენება უფიქრია, რომელმაც აღნიშნული სამუშაო შეასრულა. თუ ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის სიტყვებს ვენდობით, ბათუმიდან ორჯერ ჩამოიყვანეს, მაგრამ პრობლემა პრობლემად დარჩა.

"ევროპა ამბობს, რომ ღია საქართველოს მოქალაქეებისთვის"

3►

ჭიროა დარწმუნდეთ, რომ თქვენი ვიზიტის ხანგრძლივობა არ აღემატება ჯამში 90 დღეს უკანასკნელი 180 დღის განმავლობაში;

_ რეკომენდებულია ისარგებლოთ შენგენის ზონაში ყოფნის დასაშვები პერიოდის გამოსათვლელი სპეციალური კალკულატორით, _ აღნიშნავენ საგარეო უწყებაში, სადაც ხშირად დასმულ კითხვებსაც უპასუხეს.

უვიზო მიმოსვლისთვის შენგენის ზონის ტერიტორიაზე აუცილებელია მოქმედი ბიომეტრიული პასპორტი, რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 6 თვეზე ნაკლები საქართველოში დაბრუნების დღისთვის.

ევროკავშირის/შენგენის ზონაში ბიომეტრიული პასპორტის გარეშე უვიზოდ შესვლა შეუძლებელია. ბიომეტრიული პასპორტის არქონის შემთხვევაში, ვიზის მისაღებად, განაცხადით უნდა მიმართოთ ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნების საელჩოებს, რომლებიც აკრედიტებულნი არიან საქართველოში.

მგზავრობის მიზნის დასადასტურებლად საზღვრო სამსახურის წარმომადგენელმა შეიძლება მოგთხოვოთ შემდეგი სახის საბუთები:

ტურიზმი და დასვენება: უკან დასაბრუნებელი სამგზავრო ბილეთი; სასტუმროს ჯავშანი; სამოგზაურო დაზღვევა; მოგზაურობის ფინანსური უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი. (ნაღდი ფული, სამგზავრო ჩეკი, მოქმედი საბანკო ელექტრონული ბარათები და ა.შ.) ხშირ შემთხვევაში, აღნიშნული თანხა არ აღემატება დღეში 50 ევროს სასტუმროს ჯავშნის არსებობისას.

მონაწილეობა კონფერენციებში, სემინარებში, საქმიან შეხვედრებში და ა.შ: იმ ღონისძიების/კონფერენციის, სემინარის მოწვევა/პროგრამა, რომელშიც მონაწილეობთ; სასტუმროს ჯავშანი; სამოგზაურო დაზღვევა; უკან დასაბრუნებელი ბილეთი; მოგზაურობის ფინანსური უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი (ნაღდი ფული, სამგზავრო ჩეკი, მოქმედი საბანკო ელექტრონული ბარათები და ა.შ.). ხშირ შემთხვევაში, აღნიშნული თანხა არ აღემატება დღეში 50 ევროს სასტუმროს ჯავშნის არსებობისას.

ნათესავების, მეგობრების მონახულება: მიმღები პირის საკონტაქტო მონაცემები (მისამართი, ტელეფონის ნომერი და სხვ.); იმ პირის ბინადრობის ნებართვის ან შესაბამის ქვეყანაში ლეგალურად ყოფნის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ასლი, რომლის მოსანახულებლადაც მიემგზავრებით;

სამოგზაურო დაზღვევა; უკან დასაბრუნებელი ბილეთი; მოგზაურობის ფინანსური უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი (ნაღდი ფული, სამგზავრო ჩეკი, მოქმედი საბანკო ელექტრონული ბარათები და ა.შ.).

მკურნალობა: იმ სამედიცინო დაწესებულების თანხმობა, რომელშიც გეგმავთ მკურნალობას ან/და საქართველოს სამედიცინო დაწესებულების რეკომენდაცია, ჩაიტაროთ შესაბამისი მკურნალობა ევროკავშირის წევრ-ქვეყანაში; სამედიცინო დაზღვევა მგზავრობის მთელი პერიოდისთვის; უკან დასაბრუნებელი ბილეთი;

მგზავრობისა და მკურნალობის ფინანსური უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი (თანხა ნაღდი სახით, სამგზავრო ჩეკი, მოქმედი საბანკო ელექტრონული ბარათები, გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი და ა.შ.)

საქართველოს მოქალაქეები ვალდებულნი არიან დაიცვან: შენგენის ქვეყნების ტერიტორიაზე არსებული შესვლისა და ყოფნის წესები (შენგენის ტერიტორიაზე ყოფნის პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 90 დღეს ნებისმიერი 180-დღიანი პერიოდის განმავლობაში);

ადგილობრივი კანონმდებლობა, საავტომობილო მოძრაობის წესები და საზოგადოებრივი წესრიგი.

ნებადართული ყოფნის პერიოდში სხვა სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში საქართველოს მოქალაქე დაექვემდებარება დეპორტაციას (გაძევება) ან/და დაეკისრება შესაბამისი პასუხისმგებლობა ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, რასაც ყოველთვის მოსდევს ქვეყანაში შესვლის აკრძალვა 5 წლამდე პერიოდით.

რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ დავარღვევთ ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე შესვლისა და ყოფნის წესებს?

_ ქვეყანაში 90-დღიანი ყოფნის ვადის გადაცილების შემთხვევაში, შენგენის ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნა ჩაითვლება არალეგალურად და ასეთი პირი დაექვემდებარება რეადმისიას (საქართველოში დაბრუნებას). ამასთან, ასეთ შემთხვევაში მოქალაქეს შეეზღუდება შენგენის ტერიტორიაზე შესვლა 5 წლამდე პერიოდით.

ალტერნატივის სახით, შესაძლოა გამოყენებული იქნას ადმინისტრაციული ზომები/ჯარიმა 3000 ევრომდე ოდენობით. ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, კანონდამრღვევს აეკრძალება შესვლა შესაბამის ქვეყანაში, ან შენგენის ტერიტორიაზე;

შენგენის/ევროკავშირის ტერიტორიაზე შესასვლელად საქართველოს მოქალაქე არ უნდა იყოს იმ პირთა სიაში, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საზოგადოებრივ წესრიგსა და ჯანმრთელობას, ან შიდა უსაფრთხოებას; არ უნდა იყოს იმ პირთა სიაში, რომლებსაც აკრძალული აქვთ ზემოხსენებული ქვეყნებიდან მინიმუმ ერთ ქვეყანაში შესვლა; არ უნდა იყოს ნასამართლევი შენგენის/ევროკავშირის წევრ ნებისმიერ ქვეყანაში სისხლის სამართლის ისეთი დანაშაულისთვის, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას მინიმუმ 1 წლით; არ უნდა იყოს ქვეყნიდან გაძევების (დეპორტაცია) ან უკან დაბრუნების (რეადმისია) შესახებ გადაწყვეტილების ობიექტი; არ უნდა არსებობდეს დანაშაულებრივ საქმიანობაში მისი მონაწილეობის, ან ასეთი განზრახვის შესახებ უტყუარი მტკიცებულებები.

შენგენის ტერიტორიაზე შესვლის და ყოფნის ეს პირობები გამოიყენება ევროკავშირის მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქესთან მიმართებაში.

ჩვენი გამოკითხვა

რით იყო გამორჩეული თქვენთვის 2015 წელი?

ვახტანგ ირემაძე:

_ 2015 წელი გამორჩეული იყო მთავრობის კარგი მომსახურებით, სიკეთით, სიხარულით, გლეხებმა შვება ნახეს.

მერაბ ჯიშკარიანი:

_ იმით იყო გამორჩეული, რომ ორი ტომარა სილა წამოვიღე მდინარიდან, დამაჯარიმეს და 1 300 ლარი გადამახდევინეს. ესაა გამორჩეული და ესაა ქვეყანა?!

გიორგი რამიშვილი:

_ საერთო ჯამში, წარმატებული იყო. ნოემბერის სტიქიის დროს, სოფელ დიდივანის სკოლის შენობას ქარმა სახურავი გადააძრო _ რესურსცენტრი და განათლების სამინისტრო ძალიან დაგვეხმარა.

ხატია ჯორბენაძე:

_ სწავლით, ახალი მიღწევებით და ახლის მოლოდინით, ალბათ 2016 წელი უკეთესი იქნება, ინფრასტრუქტურის კუთხითაც გამოცოცხლებულია ჩვენი ქალაქი.

რუსუდან ჩხაიძე:

_ არაფრით, ეკონომიკური კუთხით ძალიან ცუდი წელი იყო. პატარა საოჯახო ბიზნესი გვაქვს და ვერაფერი ვერ გავაკეთეთ, პირიქით _ უკან-უკან წავედით დოლარის კურსის მატების გამო. ფულს ძალა არ გააჩნია, გაჭირვებით ვცხოვრობთ.

"თავმჯდომარე ვიქნები თუ მოადგილე, არ ვიცი"

(გურია ნიუსი, ოზურგეთი) _ გასულ კვირას დასრულდა განაცხადების მიღება საოლქო საარჩევნო კომისიების წევრის ვაკანტურ თანამდებობებზე. ამ ეტაპზე ცნობილია, ოზურგეთის #60 საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევ კონკურსში მონაწილეთა სია _ ელგუჯა ჩხატარაშვილი, ალექსანდრე ღლონტი, კახა არობელიძე, ზვიად თენიეშვილი, ლევან ნიკოლაშვილი, ნინო გიგინეიშვილი, მათე სკამკოჩაშვილი და თეიმურაზ კაჭარავა. აქედან, ცესკო სამ ადამიანს შეარჩევს, რომელთაგან აირჩევენ საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.

ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, საოლქოს თავმჯდომარეობა ორ კანდიდატს სურს _ ზვიად თენიეშვილს და ელგუჯა ჩხატარაშვილს.

სატელეფონო საუბრის დროს **ელგუჯა ჩხატარაშვილმა** ეს ინფორმაცია არ დაადასტურა: "*თავმჯდომარეობას ვაპირებ? ეს ცოტა ხმამაღალი ნათქვამია. კონკურსი იყო გამოცხადებული ცესკოს მიერ და განცხადება მაქვს შეტანილი. თავმჯდომარე ვიქნები თუ მოადგილე, არ ვიცი* , _ გვითხრა ჩხატარაშვილმა.

ზვიად თენიეშვილის თქმით, ჯერ არ არის ცნობილი, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ცესკო: "*განცხადება მაქვს შეტანილი ცესკოში. ჯერ არ შეურჩევიათ სამი კანდიდატი და აქედან გამომდინარე, ვერაფერს გეტყვით. ცესკოს მიერ წევრების შერჩევის შემდეგ საოლქოში ჩატარდება კრება, რომელზეც საოლქოს თავმჯდომარეს, მის მოადგილესა და მდივანს აირჩევენ*", _ თქვა ჩვენთან სატელეფონო საუბრის დროს ზვიად თენიეშვილმა.

როდის დაიწყება ბაღებში საახალწლო არდადეგები

(გურია ნიუსი, ლანჩხუთი) _ **ლანჩხუთის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის ხელმძღვანელის, დავით წულაძის** ინფორმაციით, მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში საახალწლო არდადეგები 25 დეკემბერს დაიწყება და 15 იანვრამდე გასტანს: *"24-25 დეკემბერს მუნიციპალიტეტის ბაღებში საახალწლო ღონისძიებები გაიმართება. ყველა აღსაზრდელს საჩუქარს გადავცემთ. 25 დეკემბრიდან კი სასწავლო პროცესი შეწყდება და არდადეგები ძველით ახალი წლის ჩათვლით გაგრძელდება"*, _ თქვა წულაძემ.

ერკეთში ახალი ბაღი გაიხსნა

(გურია ნიუსი, ჩოხატაური) _ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერკეთში ახალი საბავშვო ბაღი 17 დეკემბერს გაიხსნა.

ერთჯგუფიანი საბავშვო ბაღი გათვლილია 25 ბავშვზე, სადაც ამჟამად 17 აღსაზრდელია. ახალი ბაღი აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით.

აღსანიშნავია, რომ ერკეთში საბავშვო ბაღის შენობას მოსახლეობა წლებია ითხოვს. ამ დრომდე პატარები ავარიულ შენობაში იყვნენ.

ახალი წელია!

ყოველივე ახალი, ძვირფასი, გამორჩეულად
საუკეთესო დაგეგეგდოთ,
ჩემო უსაყვარლესო ადამიანებო, შინ და გარეთ!
მიყვარხართ, გეფერებით,
თქვენს გვერდით მიგულეთ მუდამ!

ინგა დუმბაძე.
ოზურგეთის კულტურისა და დასვენების პარკის დირექტორი



სუპერგაზი "გურია"

გილოცავთ შობა-ახალი წლის მობრძანებას!

2016 წელი თქვენთვის, თქვენი ოჯახებისა და ახლობლებისთვის წარმატების მომტანი ყოფილიყოს!

საუკეთესო სურვილებით,
სუპერგაზი "გურიას"
ადმინისტრაცია

სეკვესტრის როლი ბიუჯეტის შესრულების საქმეში

გოჩა ჯანაშია
გურია ნიუსი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის დეფიციტური ბიუჯეტის ირგვლივ მსჯელობა აქტიურ ფაზაშია შესული. საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატები და უმრავლესობის წევრი, რომან ბიწაძე, საკმაოდ მწვავე შეფასებებს აძლევენ ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შემცირებას და უმრავლესობის წარმომადგენლებისგან განსხვავებით, არ ერიდებიან ამ ფაქტს სეკვესტრი უწოდონ.

154 800 ლარით მცირდება ბიუჯეტი და ეს ცვლილება რამდენიმე კუთხით ხორციელდება. კერძოდ, მუნიციპალიტეტის საკრებულო, მთლიანობაში, 34 950 ლარს დაასეკვესტრებს. მათ შორის საჯარო მოხელეთა შრომის ანაზღაურების სახით 10 ათას ლარს, მივლინებისა და ოფისის ხარჯების სახით 13 500 ლარს, ტრანსპორტის ხარჯის სახით 14 500 ლარს, ხოლო არაფინანსური აქტივებისა და სოცუზრუნველყოფის ხარჯების კლების სახით, შესაბამისად, 3390 ლარს და 260 ლარს.

გაცილებით დიდი თანხით _81 827 ლარით "შეეწევა" ბიუჯეტის საპროცენტო მაჩვენებლის ზრდას გამგეობა _ აქედან, 10 ათასი ლარი ისევ შრომის ანაზღაურებას მოაკლდება, ოფისის ხარჯს კი _ 47 900 ლარი. სოცუზრუნველყოფის მუხლი 29 128 ლარით შემცირდა. ამას გარდა, გამგეობამ 1500 ლარით მივლინების თანხები მოიკლო, ხოლო 5299 ლარით შეამცირა არაფინანსური აქტივები.

გამგებლის სარეზერვო ფონდიდან 10 ათასი ლარი დარჩა დაუხარჯავი და ეს თანხაც სეკვესტრის "ნადავლი" გახდა. ისევე, როგორც მუნიციპალიტეტის შენობა-ნაგებობებში დასახარჯი წყლის გადასახადი და გარეგანათების ხარჯები. ამ კუთხით კლებამ, შესაბამისად, 4042 და 4031 ლარი შეადგინა. აგრეთვე, სოცკულტურული ღონისძიებებიდან დაუხარჯავი დარჩა ტრანსპორტისა და სხვა მომსახურების ხარჯები, რამაც მთლიანობაში შეადგინა 8 ათასი ლარი.

მიმდინარე წლის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების საპროცენტო მაჩვენებელმა 86 პროცენტი შეადგინა და ამაში საკუთარი წვლილი ამ სეკვესტრმაც გაიღო. ეს ყველაფერი რომ ამ პროცენტული მაჩვენებლის ზრდას ემსახურება, ფაქტია, რადგან მუნიციპალიტეტში გასაკეთებელი საქმეები კვლავაც ბევრია და სხვა თუ არაფერი, უკვე წლებია პრობლემად და ბავშვებისთვის თავსატეხად ქცეული ხელოვნურსაფარიანი სტადიონების რეაბილიტაციისთვის შეიძლებოდა სეკვესტრირებული თანხების გამოყენება. ესეც თუ არა, კარგი იქნებოდა, გარკვეული თანხა საახალწლო განათებებისა და ნაძვის ხის მოსართველადაც გადანაწილებულიყო.

უკონტაქტო პატრულირება მართვის მოწმობას ქულებს არ აკლებს

ლალი იმედაიშვილი
გურია ნიუსი

უკონტატო პატრულირება არის საგზაო მოძრაობის რეგულირების ერთ-ერთი თანამედროვე საშუალება, რომლის დროსაც მძღოლის შეჩერების გარეშე ხდება დარღვევის დაფიქსირება და დაჯარიმება.

აპრობირებულია ბევრ ქვეყანაში და ემსახურება საგზაო მოძრაობის წესების დარღვევათა პრევენციას; ფუნქციონიერებს ვიდეოჯარიმების ანალოგიურად.

GPS ვიდეორეგისტრატორებისა და სპეციალური პროგრამის საშუალებით ხდება დარღვევის, დროისა და ადგილის ზუსტი აღრიცხვა, რომლის საფუძველზეც პირს ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის ჯარიმა ეგზავნება.

GPS ვიდეორეგისტრატორებით სამოქალაქო ტიპის ავტომანქანები აღჭურვებიან.

მოქალაქეს შესაძლებლობა ექნება სამართალდარღვევა გადაამოწმოს ან გასააჩივროს.

უკონტაქტო პატრულირება იცავს მოძრაობის მონაწილეებს, მათ შორის ქვეითებს, მაშინაც კი, როცა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები არ ჩანან.

აღსანიშნავია, რომ უკონტაქტო პატრულირება მართვის მოწმობას ქულებს არ აკლებს.

რა საფრთხეს შეიცავს მარჯვენასაჭიანი ავტომობილებით მგზავრობა

ლალი იმედაიშვილი
გურია ნიუსი

შინაგან საქმეთა სამინისტრო საინფორმაციო კვირეულს აგრძელებს _ რას ნიშნავს მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების რეგისტრაციის აკრძალვა.

აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა არ გულისხმობს ქვეყანაში უკვე არსებული მარჯვენასაჭიანი ან საჭეგადატანილი ავტომანქანების აკრძალვას, არც მათ შეძენას და შემდგომში გაყიდვა/გასხვისებას.

კანონპროექტი შეეხება მხოლოდ იმ მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების რეგისტრაციის აკრძალვას, რომლებიც პარლამენტის მიერ დადგენილი თარიღის შემდეგ შემოვლენ ქვეყანაში.

კანონპროექტის თანახმად, ქვეყანაში არ იკრძალება მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების იმპორტი რეექსპორტის მიზნით და ტრანზიტი.

კანონი ძალაში შევა 2016 წლის იმ თარიღიდან, რომელსაც საქართველოს პარლამენტი კანონპროექტის მიღებისას დაადგენს. განისაზღვრება გონივრული დრო, რათა არ დაზარალდეს არც ერთი მფლობელი და იმპორტიორი.

კვლევებით დადასტურებულია, რომ მარჯვენასაჭიანი ავტომანქანებით მოძრაობა საგზაო ინფრასტრუქტურაზე, რომელიც მარცხენასაჭიან ავტომანქანებზეა დაგეგმილი, შეიცავს ავტოსაგზაო შემთხვევების მომეტებულ რისკს. მაგალითად, ასეთი რისკები არსებობს გასწრების მომენტში; მგზავრის ჩამოსმის მომენტში; ღამით შემხვედრი მანქანის მიმართ შუქების ზემოქმედებისას (რომელიც მარჯვენასაჭიან ავტომანქანაზე საწინააღმდეგო მიმართულებით არის მომართული) და სხვა.

საქართველოში მარჯვენასაჭიანი ავტმობილების რაოდენობა მკვეთრად მზარდია და უახლოვდება კრიტიკულ ზღვარს: სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზი მიუთითებს, რომ უახლოეს 5-7 წელიწადში მოსალოდნელია მარჯვენასაჭიანი და მარცხენასაჭიანი ავტომანქანების რაოდენობის გათანაბრება, რაც ქვეყანაში საგზაო მოძრაობის რეგულირებას და საგზაო უსაფრთხოებას სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის.

1949 წლის 19 სექტემბრის ჟენევის კონვენცია, რომლის წევრიც სხვა ქვეყნებთან ერთად საქართველოც არის, სახელმწიფოებს საგზაო მოძრაობის უნიფიცირებას ავალდებულებს.

"სანამ არ გადავიხადე 70 ლარი, მანამ არ გამომატანეს ძროხა"

გიორგი გირკელიძე
გურია ნიუსი

ქალაქ ოზურგეთში მცხოვრები სვეტლანა ქურასბედიანი სოციალური დახმარების აღდგენას ითხოვს. ამბობს, რომ შეშის შესაძენი ფული არ აქვს. ჩვენი რესპონდენტი მეუღლესთან ერთად ცხოვრობს. მათ პატარა სახლში ისე წვიმს, როგორც გარეთ.

_ ჩემი ქმარი ავადმყოფობს და სახლიდან ვერ გადის. პენსიას მე ვიღებ მინდობილობით. ახლა გაუვიდა ვადა მინდობილობას და ოთხი კაცი მეხმარებოდა, მეუღლე საბუთებზე ხელის მოსაწერად რომ ჩამეყვანა ქალაქში. თქვენ თვითონ კარგად ხედავთ, რა მდგომარეობაში ვართ და როგორ ვცხოვრობთ. შეშა არ მაქვს, რა იქნება ხვალ, არ ვიცი და როგორ უნდა გადავიტანოთ ეს ზამთარი. მხოლოდ ქმრის პენსიაზე ვცხოვრობთ, ამას თუ ცხოვრება ჰქვია. მივმართეთ მერიას და ერთჯერადი დახმარება მოგვცეს, მაგრამ სანამდე უნდა გვეყოს ეს 150 ლარი?! სოციალურ დახმარებას არ ვიღებთ _ მაღალი ქულა მომივიდა. ახლა კიდევ ვაპირებ განცხადების შეტანას და ვნახოთ, რა იქნება.

ჩემი მეუღლის პენსია, ძირითადად, წამლებში მიდის. შვილები სხვაგან ცხოვრობენ და საკუთარი პრობლემები აქვთ. ყველგან დავდივარ სადაც შეიძლება, რომ ვინმე დამეხმაროს. ყველაზე მეტად ვითხოვ, რომ სოციალური დახმარება მაინც დამინიშნონ, _ ამბობს ქალბატონი სვეტლანა, რომლის გაჭირვებას ისიც დაემატა, რომ ზედამხედველობის სამსახურმა მისი შინაური პირუტყვი დააკავა და ამისთვის 70 ლარის გადახდა პენსიიდან მოუწია.

_ ერთი დღე ვეძებდი ძროხას და ბოლოს სადღაც გარაჟში ვნახე. თურმე, ზედამხედველობის სამსახურს დაუკავებია. ვიდრე არ გადავიხადე 70 ლარი, მანამ არ გამომატანეს ძროხა. ისიც მითხრეს, მეორედ თუ გამოვუშვებდი ქუჩაში ძროხას, 200 ლარით დააჯარიმებენ. ახლა მყავს სახლში დაბმული, _ გვითხრა სვეტლანა ქურასბედიანმა.

ოზურგეთის სოციალურ სააგენტოში სვეტლანა ქურასბედიანის შესახებ გვითხრეს, რომ მას შეუძლია ხელახლა შეავსოს განაცხადი:

_ სვეტლანა ქურასბედიანს შეუძლია თავიდან შემოიტანოს განცხადება და ისევ გადამოწმდება მისი ოჯახი. ბოლო შემონმებიდან წელზე მეტი გავიდა და აქედან გამომდინარე, მას სრული უფლება აქვს, თავიდან მოგვმართოს, _ გვითხრეს სააგენტოში.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის პრესსამსახურის უფროსის, ხათუნა შარაძის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სვეტლანა ქურასბედიანს 2015 წელს ადგილობრივი ხელისუფლება ორჯერ დაეხმარა:

_ პირველად დავეხმარეთ შეჭირვებული მოქალაქეთა და ერთჯერადი დახმარების სამედიცინო პროგრამის ფარგლებში და მეორედ _ მძიმე საცხოვრებელი პირობებში მყოფი მოქალაქეების ერთჯერადი დახმარების პროგრამით, 150-150 ლარით. ასევე, განცხადება აქვს დაწერილი შეშით დახმარებასთან დაკავშირებით. მინდა გითხრათ, რომ შეშით დახმარებაზე ბევრი წერილი არის შემოსული და აქედან გამომდინარე, ეტაპობრივად ხდება ამ კუთხით მოსახლეობის დაკმაყოფილება. მინდა, გითხრათ, რომ სვეტლანა ქურასბედიანი ამ სიაში არის და ამ დღეებში ეს პრობლემა მოგვარდება, _ გვითხრა ხათუნა შარაძემ.

რაც შეეხება უმეთვალყურეოდ მიტოვებული პირუტყვის დაკავებას, შარაძის განმარტებით, ზედამხედველობის სამსახურმა სამჯერ გააფრთხილა სვეტლანა ქურასბედიანი და მხოლოდ ამის შემდეგ დააკავა პირუტყვი: *_ მრავალჯერადი გაფრთხილების შემდეგ მოხდა პირუტყვის დაკავება და ქალბატონ სვეტლანას მოუწია 60 ლარის გადახდა, _* თქვა ჩვენთან საუბრის დროს ხათუნა შარაძემ.

ძროხების"დაპატიმრებები" ქალაქ ოზურგეთის ქუჩებში | ფოტო: გიორგი გირკელიძე

82 წლის ქალბატონი დახმარების მოლოდინში

(გურია ნიუსი, ოზურგეთი) _82 წლის **ოლია მუხაშავრია** ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ჩოხატაურის ქუჩაზე მარტო ცხოვრობს. მისი პენსიის უმეტესი ნაწილი წამლებში იხარჯება, სოციალური დახმარება კი არ აქვს.

_ მარტოხელა ქალი ვარ, ორი შვილი მომიკვდა და დავრჩი უპატრონოდ. პენსია მაქვს, მაგრამ წამლებში მეხარჯება უმეტესწილად. ახლა ზამთარი მოდის და იმის საშუალება არ მაქვს, რომ შეშა ვიყიდო. დღეს გამოიდარა და გამოვედი ქუჩაში, დავდივარ ასე, კეთილი ადამიანების იმედზე, _ გვითხრა ოლია მუხაშავრიამ.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პრესსამსახურში გვითხრეს, რომ ოლია მუხაშავრიამ 2015 წელს ქალაქის მერიისგან ორჯერ მიიღო სოციალური დახმარება. ერთხელ მერის სარეზერვო ფონდიდან 150 ლარი და მეორედ _ მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამიდან, ასევე, 150 ლარი.

_ რაც შეეხება შეშით უზრუნველყოფის საკითხს, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამით უშუალოდ გათვალისწინებული არ არის მოქალაქეთა შეშით დახმარება, შესაძლებლობის შემთხვევაში, მერია ეხმარება შეჭირვებულ მოქალაქეებს და ეტაპობრივად გადასცემს მათ შეშას. მერია ქალბატონ ოლია მუხაშავრიასაც დაეხმარება, _ გვითხრეს პრესსამსახურში.

რამდენი ძროხა დაიჭირეს ქალაქ ოზურგეთში 2015 წელს

(გურია ნიუსი, ოზურგეთი) _ ქალაქ ოზურგეთში მცხოვრები **სვეტლანა ქურასბედიანის** ინფორმაციით, მისი პირუტყვი (ძროხა) დაიჭირეს და სანამ 70 ლარი არ გადაიხადა, არ გამოუშვეს: *"პენსიის ფული გამოვიტანე და გადავიხადე. აბა რა მექნა _ ეს ერთი მარჩენალი გვყავს სახლში"*, _ გვითხრა სვეტლანა ქურასბედიანმა.

"გურია ნიუსი" დაინტერესდა, თუ რამდენი ძროხა დაიჭირეს ქალაქ ოზურგეთში. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის პრესსამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2015 წელს 12 ძროხა დაიჭირეს.

"უმეთვალყურეოდ დარჩენილი პირუტყვის იზოლაციას, ა(ა)იპ "ოზურგეთის სერვის-ცენტრის უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების ზედამხედველობის განყოფილება ახორციელებს. ამ შემთხვევაში ერთჯერადი ჯარიმა 50 ლარია, ხოლო დღიური მოვლა-შენახვისთვის მეპატრონეს დღეში 10 ლარის გადახდა ეკისრება. აღნიშნული პროცესი ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების საფუძველზე ხორციელდება", _ გვითხრეს პრესსამსახურში.

ბატონ ლევან,
ჩემო ლანჩხუთელებო!

გილოცავთ ახალ წელს, შობას, კალანდას! ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეთ! გაიხარეთ და გამრავლდით!

მინდია დვალიშვილი,
ლანჩხუთის სპორტული ცენტრის დირექტორი

ძვირფასო ლანჩხუთელებო!

გულითადად გილოცავთ
შობა-ახალი წლის მობრძანებას!

ჯანმრთელობის, ბედნიერების და
წარმატებების მომტანი ყოფილიყოს
დამდეგი ახალი წელი!

პატივისცემით,
ალექსანდრე მახათაძე,
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი,
ჯურუყვეთის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი

ძვირფასო ლანჩხუთელებო!

გილოცავთ დამდეგ ახალ წელს,
ქრისტეშობას, კალანდას!

სიკეთე, სიუხვე და ჯანის სიმრთელე მისურვებია! უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ!

თემურ ალექსაია,
ლანჩხუთის საკრებულოს წევრი,
ნიგოითის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი

ა, ჯდი!

"რას ვხედავ, 2 მილიციელი არ დგანა და არ ხდის არაყს ჩემს ქუხნაში?!"

"საკრიმანჭულო საზოგადოება" სოციალურ ქსელ ფეისბუქში ერთ-ერთი პოპულარული გვერდია. ჯგუფი დახურულია და პოსტების განთავსება და წაკითხვა მხოლოდ წევრებს შეუძლიათ. წევრები კი გურულები არიან _ იუმორით გამორჩეული ადამიანები, რომლებიც სახალისო ისტორიებით ხშირად გვახალისებენ.

"ა, კიდომ" "საკრიმანჭულო საზოგადოების" "მარგალიტებს მოუყარა თავი და დღეს პირველ ნაწილს გთავაზობთ.

***

გურული პატრულმა გააჩერა და ეუბნება: _ მოქალაქევ, თქვენ გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობდით!

– რადარი მაჩვენეთ! – დანაშაულის დამტკიცება მოითხოვა გურულმა.

_ რადარი არ გვაქვს, ბატონო! – უპასუხა პატრულმა.

– აბა, რაფერ მიხვდი, ჩქარა რომ მოვდიოდი, მანქანა იყო გაოფლილი?! _ გადაირია გურული.

***

გურული სუფრაზეა, სადაც ერთი ახალგაზრდა იძახის _ ნეტა, ივანიშვილი ჩემი მამა იყოსო.

იმდენჯერ ინატრეს, შეწუხდა გურული და გაბრაზებულმა უთხრა: ბიჯო, თუ ნატვრაა, ფული ინატრე, თვარა დედას მეც ქე მოგ....ავო!

***

იყო ერთი კოლორიტული პიროვნება _ ექიმი ვახტანგ ჭყოიძე. ერთხელ მძიმე ავადმყოფთან გამოიძახეს. მისი გასინჯვის შემდეგ, ვახტანგმა არაყი მოითხოვა. მიართვეს. ექიმმა ჭიქა ასწია და თქვა: _ ეჰ, ამას აწი აღარაფერი ეშველება და ჩვენ გაგვიმარჯოსო!

***

მიცვალებულია გურიაში. პანაშვიდის მერე დაიწყეს მსჯელობა: როის განვბანოთ, როის ჩავაცვათო და ა.შ.

ერთი იძახის _ ადრეა ჯერ, დილას ჩავაცვათ!

ეიკლო ყველაფერი, ერთი სიტყვით აღარ ჩერდება. ამოუვიდა მეზობელს ყელში და იყვირა ბოლოს: _ რაია, ძამა, ადრე, ამეიჩეჩავს დილამდე თუ რავაა საქმე?!

***

დილაუთენია გურული ქალი გარბის ჩაიში (კაი დრო რომ იყო, ჩვენი ჩაი რომ გვქონდა, მაშინდელია), მეზობლის კაცმა გადმოხედა აივნიდან და დაცინვით გადმოსძახა: _ ქალო, ასე ადრიანად რომ გარბიხარ, ქმარს პატივი არ ეცი ამ დილას?

_ არა, ბიჭო, შენს ცოლს დოუტიებდი, აბა, რაი! _ უცბად მიიღო საკადრისი პასუხი.

***

გურულმა დეიჩივლა, იმფერი გაჭირვებული ვარ, ჩუმათა ვსუნთქავ, იღლიაში საროჩქა არ გამერღვესო!

***

გურული ქვრივები ჭორაობენ:

_ გუშინ ქმარს ვუღალატე... ალბათ, საფლავში გადატრიალდება.

_ მე ყოველდღე ვღალატობ და ალბათ ბზრიალებს ის უბედური.

_ მე საერთოდ არ მიღალატია და არც ვაპირებ...

_ კაი, შე ქალო! თლად მასეც არ შეიძლება! ნაწოლები არ გოუჩთეს.

***

გურული გვიან ღამით მთვრალი მივიდა სახლში. იბორიალა, საწოლი ვერ მიაკლია:

_ ე, ცა, დეიწყე წყევლა, თვარა ლოგინს ვერ ვანკლოვ, _ გასძახა ცოლს.

***

გორბაჩოვის პერიოდია, არყის ხდა რომაა აკრძალული და გურული ჩუმად ხდის არაყს ქუხნაში, ჩაკეტილ კარებში. გამოვიდა, ორეში ცივი წყალი უნდა რომ ჩაამატოს და ვედრებით რომ შემობრუნდა, ქი დახვდა 2 მილიციელი.

_ ა, არაყს ხდი, ხომ! ახლავე დაწერე ახსნა-განმარტებითი ბარათი.

დეიწყო გურულმა წერა: ვიჯექი ჩემდა მსხლის ძირას და უცებ დევინახე ქუხნიდან გამოდის თეთრი ბოლი, ვიფიქრე ვიწობი-მეთქი და ევიღე 2 ვედრა წყალი და გავარდი ჩასაქრობად, მივირბინე და რას ვხედავ _ 2 მილიციელი არ დგანა და არ ხდის არაყს ჩემს ქუხნაში?!

***

დიმიტრა ხომერიკს შარდის შეკავება დაემართა და გამოაქროლეს ოზურგეთში. ექთანი უკეთებს კათეტერს და თან ეკითხება: რა გქვია, ბიძია?

_ დიმიტრა ვარ ხომერიკი, _ შესძახა ომახიანად დიმიტრამ.

_ შვილები გყავს?

_ კი, აბა, სამი_ ტარიელი, ავთანდილი და დარეჯანი, _ გადეიბრიქა დიმიტრა...

_ უიიიიი, ამ გაჭივრებულით გააკეთე აი ვეფხისტყაოსნის გმირები? _ გაოცება ვერ დამალა ეთქანმა.

***

ვან-ზომლეთელი ბიჭი გაუწვევიათ დიდ სამამულო ომში, საიდანაც დედას წერილი მოსწერა: ნუ გეშინია, დედა! ისე მოგვზდევენ აი ფაშისტები, მალე ვან-ზომლეთში ვიქნებითო!

***

ერთმა თანამდებობის მქონე გურულმა ზაფხულის პერიოდში იყიდა ინდაურები, გოჭები, ხბოები და ერთ-ერთ სოფელში მიაბარა გასაზრდელად _ ამათი საჭმელი ჩემზე იყოს, შენ გამიზარდე და ნახევარი ჩემი იყოს, ნახევარი შენიო... საახალწლოდ ეწვია გურული თავისი მძღოლით ამ სოფელს... გაიშალა სუფრა... ის ერთი გოჭი ახლა დამიკალი, საახალწლოდ მინდა სახლისთვისო... ჩემო ბატონო, იმ გოჭმა მეიწყინა და დავკალით უკვეო... კაი, მაშინ ხბო დამიკალიო... იმ ხბომაც მეიწყინა და ისიც დავკალით უკვეო... ინდაურები დამიკალითო... ინდაურებმაც მეიწყინა, ჩემო ბატონო, და ისინიც დავკალითო... ჩაღუნა თავი ამ თანამდებობის მქონე გურულმა... და ამ დროს მძღოლი ეუბნება: არ მეიწყინო თუ ძმა ხარ, ჩვენც არ მიგვაყოლონ იმ ინდაურებს.

***

გურული მუშაობს ბიბლიოთეკარად. შემოვა ერთი მკითხველი _ "მთვარის მოტაცება" მინდა!

_ მერე მე პწკალა (კიბე) მიგიყუდო, ძამა?!

***

ნამდვილი, ცინცხალი ამბავი ბუკისციხიდან: ასაკში შესულ ცოლ-ქმარს სტუმარი ეწვია. ქმარმა, მიზეზი მაქვსო და გაუხსნა გზა ჭაჭის არაყს საყლაპავისკენ.

ცოლმა უსაყვედურა _ შენ ახალგაზრდას ნუ უტოლებ თავს, არაყი გწყენს, ღამე ხვნეშავ და კრუსუნობო.

ქმარმა მიუგო: ეხ, ჩემო მედიკო, ასაკს რა ვუთხრა, თუ არა, ღამე მე კი არა, შენ უნდა ხვნეშავდე და კრუსუნობდეო.

***

გურული უყურებს მოედანზე გაკრულ ზვიადაურის სურათს, სურათზე რეკლამაა: "ჩემპიონები სვამენ ცივ ჩაის"

– იკალი ახლა თავი ჩემპიონობიზა, ჩაისაც რო არ გაგიცხელებენ, აგია დაფასება? _ ჩაიბურტყუნა გურულმა.

***

ოზურგეთში ერთი მღვდელია, მამა ვასილი. ძალიან კარგი პიროვნებაა და ყველას უყვარს. იუმორთან მეგობრობს, მაგრამ ეს ყველაფერი, როგორც გურიაში ხდება ხოლმე, ძალიან ბუნებრივად გამოსდის.....

ერთხელ ახალგაზრდები მიადგნენ, სულ ახალგაზრდები და ეუბნებიან: მამაო, გევიპარეთ ჩვენ, ძაან გვიყვარს ერთმანეთი და სანამ მშობლები მოგვაგნებენ გეხვეწები დაგვწერე ჯვარი, მარა დიდი ბოდიში, მამაო, თლა მზათ არ ვართ ჯვრისწერიზა და გვაპატიე.

_ კი მარა, რას გულისხმობ მზადყოფნაში, _ იკითხა მამამ.

_ ფული არ გვაქ, მამაო და გვაპატიე.

_ რას ამბობ, შვილო, როის იყო მე ფული მქონდა დაწესებული რამეზე, თუ რამე უნდა ხალხს, აგერ ყულაბაში აგდებენ, მე არანაირი გადასახადი არ მაქ. დევიწყოთ აბა, _ უთქვამს მამაოს _ მეიყვანეთ მეჯვარეები.

_ უი, მამაო, მაგენი არ გვყავს, ხომ გითხარით გამოპარულები ვართ, არიკაცმა არ იცის აქანე რომ ვართო.

_ კაიო, მამაომ _ ერთ სტიქაროსანს და ერთ სანთლების გამყიდველ ქალს უხმო და დუუყენა აგენს მეჯვარედ.

მიდის ჯვრისწერა და მევიდა ბეჭდების გაცვლის დრო....

_ უი, მამაო, არ გვაქ ბეჭდებიო.

_ კაიო, _ მამაომ უცბად სანთლები გადაგრიხა ლამაზად ბეჭდის ფორმაზე, გოგოს და ბიჭს მისცა:

_ ახლა გოუკეთეთ ერთმანეთს თითებზეო.

ხოდა აღმოჩნდა, რომ ამ ბიჭს საბეჭდე თითიც მოკვეთილი ჰქონდა... მამაო დაიბნა, ასეთი პირველად ნახა და გაბრაზებულმა გახედა ამ ბიჭს შარვალის გარკვეულ ნაწილისკენ და უთხრა: ახლა, შვილო, რას გეტყვი, იცი, თლა ჩემს იმედზე ნუ იქნები ყოლიფერშიო, ბიჯოს!

"ქათმებთან ხელჩართული ომი და ვაი-უშველებელი"

ბუკისციხეში, სადაც მევენახეობა გურიის პირობაზე ლიდერი მიმართულებაა, სეზონის დროს ხშირად მოდიოდნენ იმერეთიდან და კირს ყიდნენ ხოლმე მოსახლეობაზე. კირი აუცილებელი კომპონენტია ვაზის შესაწამლი ბორდოს ხსნარის დასამზადებლად.

90-იან წლებში იმერეთიდან სოფელში მოსულები ბარტერზეც არ ამბობდნენ უარს და კირის სანაცვლოდ სოფლის პროდუქტებს იღებდნენ.

მარტოხელა, მოხუცმა ქალბატონმა ელენემ ამოიჩარა იღლიაში თავისი ეზოს სიამაყე, წითელი მამალი, რომელიც, 5 წელი მაინც ერთგულად ემსახურებოდა ქალბატონი ელენეს და სრულიად სამეზობლოს საქათმეთს და ასე მიადგა ბუკისციხის ცენტრში "გრუზავიკიდან" მოვაჭრე იმერლებს.

გამოცდილმა ვაჭრებმა ხელში მრავალგზის შეათამაშეს მამალი, სულიც შეუბერეს, ტყავის ელასტიურობა და სიჭაბუკე შეუმოწმეს მამალს. მერე ელენეს უთხრეს _ შენი მამალი არც სახორცედ და არც სამამლავად არ ივარგებსო.

ელენემ გააპროტესტა: "რას ჩივი, ნენა, აი მამალი რომ მომყავდა, ქათმებთან ხელჩართული ომი და ვაი-უშველებელი მქონდა გამართული, არ მატანდნენ..."

ამის მერე გაუცვალეს ელენეს მამალში კირი.

კუბო, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ საჭიროებისამებრ"

"კუბოები და ვენოკები ევროპიდან" _ ამ სახელწოდების გვერდი სოციალურ ქსელში ძალიან პოპულარულია.

კუბოების არჩევანი დიდია _ საზაფხულო, საგაზაფხულო, საშემოდგომო და თქვენ წარმოიდგინეთ _ არა მხოლოდ მიცვალებულებისთვის.

ერთ-ერთ კუბოს ასეთი წარწერა აქვს: "კუბო, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ საჭიროებისამებრ"

ამასთანავე, თურმე, კომპანია ზრუნავს "არამარტო კუბოს ხარისხსა და იდეალურ მომსახურებაზე, არამედ იმაზეც, რომ გასვენების დროს არ იყოს დიდი მწუხარება" და ამისთვის ორიგინალურ კუბოსაც გვთავაზობენ.

ამ შეთავაზებას სოციალური ქსელის მომხმარებლის გამოხმაურება მოჰყვა:

ოთო მულაძე: "კონდენციონერი არ აქვს?"

კუბოები და ვენოკები ევროპიდან: "სამწუხაროდ, ჯერჯერობით, არა."

David Tsiramua: "სხვა ფერი არ გაქვთ? მიცვალებულს ყვითელზე ალერგია ჰქონდა... "

კუბოები და ვენოკები ევროპიდან: "დიახ, გვაქვს. ეს შეკვეთის გარეშე ჩამოვიდა და თქვენ ოფიციალურ შეკვეთას თუ გააკეთებთ, ფერიც თქვენი სურვილისამებრ იქნება".

Beqa Shavladze: "ვაკანსიები თუ გაქვთ? შემიძლია, მიცვალებული მოდელი ვიყო ახალი კუბოების დიზაინის გადაღებისას. ანდა დაკრძალვისას სახე ჩამოვიხოკო. სანამ თმა მქონდა, თმასაც ვიგლეჯდი კივილის თანხლებით _ "დიდუუუუუუ-უუუ". ასევე, ვაკეთებ ვიზებს _ დედამიწა-სამოთხე."

Katerina Zhvania: "სეზონური კუბოები თუ გაქვთ?"

კუბოები და ვენოკები ევროპიდან: "გვერდს გადახედეთ და ნახავთ. დიახ, გვაქვს."

კატერინა ბარათაშვილი: "უკაცრავად და ამ ყველაფერს ღადაობთ თუ მართლა ხდება?"

კუბოები და ვენოკები ევროპიდან: "მართლა ხდება."

Mery Qadagidze: "ცოცხალს შეშურდება ისთი კუბოაა რაა..."

აღნიშნულმა კომპანიამ რამდენიმე დღის წინ მომხმარებლებს სიახლე შესთავაზა:

"ნელ-ნელა და ეტაპობრივად გადავერთვებით უფრო თბილ კუბოებზე გასაგები მიზეზების გამო, ამიტომ აქცენტს უფრო გავაკეთებთ სითბოსა და კომფორტზე და არა დიზაინზე. გთხოვთ, გაგებით მოეკიდოთ ამ ფაქტს და მუდმივად მომღიმარი სახეებით იმოძრაოთ, ვინაიდან ვერსად იქნება მიცვალებული ისე კომფორტულად და თბილად, როგორც ჩვენთან", _ აღნიშნავენ კომპანიაში.

სიკვდილს გადარჩენილი ოჯახები და ხელისუფლების პოზიცია

ქანა მეგრელიშვილი
გურია ნიუსი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის ცენტრში მდებარე ორსართულიანი საერთო საცხოვრებლის მობინადრეებმა ხელისუფლებას დახმარებას სთხოვენ _ მათი საცხოვრებელის უკანა ფასადი ჩამოინგრა. უბედური შემთხვევა ღამის ოთხ საათზე მოხდა.

მიუხედავად ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური ფონისა, აქ მცხოვრებთა ყოფა მხოლოდ ფილმებში ნანახს ჰგავს _ ზემოდან ჭერი ენგრევათ და დაბლა იატაკი ეშლებათ.

"ძალიან გთხოვთ, მიიტანეთ ჩვენი გასაჭირი ხელისუფლებამდე. გააგებინეთ, რა დღეში ვართ. ინგრევა ბინა, სახლი ავარიულ მდგომარეობაშია. ამდენი წლის განმავლობაში არავინაა ჩვენი პატრონი. გვაწვიმს თავზე, ბავშვები საშინელ დღეში არიან! სისხლი ხომ აქვთ, დაგვეხმარნონ! ყოველდღე შიშით ვცხოვრობთ _ სახლი მთლად არ ჩამოგვენგრეს თავზე და შიგნით არ დავიხოცოთ. მერე რას იზამს ხელისუფლება?"_ ამბობს მოსახლეობა.

ზურაბ ხარაბაძე: *"ღმერთს მადლობა, რომ გადავრჩით და არ მოჰყვა არავინ ამ ნანგრევებში. წამობრძანდით, ნახეთ და მერე თქვენ თვითონ მიხვდებით რა მდგომარეობაცაა. აქ ცხოვრება თუ შეიძლება? უკანა მხარე მთლიანად ჩამონგრეულია. სად უნდა ვიცხოვროთ?"*

გული რამიშვილი: *"ღამის ოთხ საათზე ჩამოინგრა _ გვეძინა. საშინელი სიცივე და წვიმიანი ამინდი იყო. ხელი მომყვა ნანგრევებში და მოვიტეხე, ბეწვზე გადავრჩით. სამი მცირეწლოვანი ბავშვი მყავს _ გარეთ გავიყვანეთ და ღამე გარეთ გავათიეთ. დახმარება არავის შემოუთავაზებია. განცხადება დამაწერინეს მხოლოდ.*

ყველა ოთახი ავარიულ მდგომარეობაშია, აქ აღარ იცხოვრება, საშიშია. ჩემი შვილი ტუბერკულოზითაა ავად. სამი შვილი ჰყავს _ ერთი 4 თვისაა, მეორე _ წლინახევრის და მესამე _ 4 წლის. ჩვენ თვითონ ვასუფთავებთ ეზოს. ერთი თვის წინ იატაკი ჩავარდა და მეზობელმა ფეხი მოიტეხა. რა გვეშველება, არ ვიცით. სანამ საშინელება არ მოხდება და ნანგრევებში ვინმე არ დაიღუპება, მანამ ყურადღებას არ მოგვაქცევენ? სოციალური დახმარება არ გვაქვს, ჯერ საპენსიო ასაკშიც არ ვარ. რომ ამოვიდნენ გამგეობიდან, აქეთ გაგვლანძღეს. გვითხრეს, დაგიჭერთ, ეს ნაგებობა უკანონოდ გქონდათ მიშენებული, ამ დამპალ ბინაში ჩვენ რით უნდა დაგეხმაროთ, ამას არ შველის არაფერი და ახალს ვერ აგიშენებთო. სად წავიდეს ამდენი ადამიანი?! განცხადება დაწერილი გვაქვს, მაგრამ არანაირი კომისია არ მოსულა შესამოწმებლად".

მაყვალა ბოლქვაძე: *"ამ ორ ბინაში, გაუსაძლის მდგომარეობაში ცხოვრობენ პატარა ბავშვები. ეზო არ გვაქვს. ქირაზე ვმუშაობთ და ეგაა მთელი ჩვენი შემოსავალი".*

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით ასეთია: *"დაბა ნასაკირალში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მდგომარეობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურმა შეისწავლა. კონკრეტულ შემთხვევაში, მიშენებული აივანი, შენობის სიძველის გამო, აღდგენას არ ექვემდებარება. აღსანიშნავია, რომ ჩამოინგრა მხოლოდ აივანი და არა შენობის კედელი, რაც ბინაში მცხოვრებთათვის საფრთხის შემცველი იქნებოდა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეები _ ბადრი გობრონიძე და არჩილ ყაზაიშვილი ადგილზე გაეცნენ მდგომარეობას და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოსახლეობას მიაწოდეს შესაბამისი განმარტება მუნიციპალიტეტის მიერ გასახორციელებელი პროექტების შესახებ, რომლითაც მათ სარგებლობა შეუძლიათ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 50-60-იან წლებში აშენებული 200-მდე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლია, რომელთა უმეტესობაც ავარიულ მდგომარეობაშია. მუნიციპალიტეტში პერმანენტულად მიმდინარეობს მრავალბინიანი კორპუსების აღდგენა-რეაბილიტაცია. ამ დროისათვის გადახურა 40-მდე საცხოვრებელი კორპუსი. დაბა ნასაკირალში მუნიციპალიტეტს 2016 წლისთვის განსაზღვრული აქვს რამდენიმე მრავალბინიანი სახლის რეაბილიტაცია. 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია შესაბამისი ასიგნება და მუნიციპალიტეტი უახლოეს მომავალში დაამტკიცებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ხელშეწყობის პროგრამას, რომლის ამოქმედების შემდეგ, ყველა დაინტერესებულ ბინათმესაკუთრეს საშუალება ექნება, განცხადებით მიმართოს მუნიციპალიტეტის გამგეობას სხვადასხვა პროექტის გახორციელების მიზნით".*

კვირის საეკლესიო კალენდარი

21 დეკემბერი _ ხსენებს ღირსისა პატაპი კონსტანტინეპოლელისა (VII);

22 დეკემბერი _ მუცლადღება მართლისა ანნას მიერ ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა;

23 დეკემბერი- _ ხსენებს მოწამისა მეფისა ვახტაანგ III-ისა, ძისა წმიდა მეფისა დემეტრე თავდადებულისა (1308); მოწამეთა: მინასი, ერმოგენისა და ევგრაფისა (313);

24 დეკემბერი _ ხსენება ყოველთა წმიდათა საქართველოში წამებულთა და ღირსთა მამათა და დედათა; ღირსისა დანიელ მესვეტისა (489-490);

25 დეკემბერი _ხსენება სპირიდონ ტრიმიფუნტელისა, სასწაულმოქმედისა (348); ღირსმოწამისა იოანესი, ზედაზნის წინამძღვრისა (IX); აღსაყდრების დღე უწმინდესისა და უნეტარესისა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა ილია II-სა (1977 წელს);

26 დეკემბერი _ ხსენება მოწამეთა: ევსტრატი, აქვსენტი, ევგენი, მარდარი და ორესტისა (284-305); ქალწულმოწამისა ლუკიასი (304);

27 დეკემბერი _ ხსენება მოწამეთა: თვირსო, ლევკი და კალინიკესი (249-251); მოწამეთა: ფილიმონ, აპოლონ, არიანე და თეოტიქე ანტინოელთა (286-287);

პატრიარქის ქადაგებიდან

დიდად სამწუხაროა, რომ უმცირესობათა ჯგუფები, რომლებიც ქრისტიანობისთვის მკვეთრად უარყოფითი იდეებით გამოირჩევიან, ჰუმანიზმის აღიარებულ წარმომადგენლებად სახელდებიან. მათ აქვთ პრივილეგიები, რეკლამა, მათზე მუშაობს მასმედია, დაცულნი არიან სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ; მათი მიზნების გახორციელებისთვის ხდება კანონმდებლობების შეცვლაც; ხოლო, ვინც ეწინააღმდეგება ამ პროცესებს, განსაკუთრებით ეკლესია, დიკრედიტირების ნიაღვარში ექცევა, საზოგადოებაში კი მთავარი დარტყმის ობიექტი ოჯახია. ერთსქესიანთა ქორწინება იმდენად მძიმე ცოდვაა, რომ ამის ხსენება ეკლესიაში არ შეიძლება. დიდება და მადლობა უფალს, რომ ჩვენი ერი, ხალხი გრძნობს ამ ცოდვას. გლობალიზაცია, რომელიც ვითაარდება მსიფლიოში, გარდაუვალი პროცესია და შეუძლებელია შევაჩეროთ, მაგრამ აქედან ჩვენ უნდა ავირჩიოთ ის, რაც ჩვენთვის საჭიროა. რაც ეწინააღმდეგება ღვთის კანონს, მართლმადიდებლობას, ქართველი ხალხი არ მიიღებს. შემთხვევით არ არის ნათქვამი იოანე ზოსიმეს მიერ: "ამით ენითა ქართულითა ენითა განიკითხების მსოფლიო", ეს არის ნიშანი იმისა, რომ ქართველი ხალხი შეინარჩუნებს ჭეშმარიტ სარწმუნოებას. აუცილებლად რაღაც ისეთი იდეა უნდა გვქონდეს ერს, ხელისუფლებას, ეკლესიას, რომელსაც გაჰყვება ჩვენი ერი, რომელსაც ხელში აიტაცებს, როგორც ძვირფას საუნჯეს და ამით შეაბიჯებს მომავალში.

განცხადებები

ყურადღება!

დამკრძალავი ბიურო მოგემსახურებათ სრული სერვისით: მაცივარი და მიცვალებულის ჩაცმა _ 60 ლარი. საფლავის გამზადება. სასახლე _180 ლარიდან. საჭიროების შემთხვევაში, ქირურგიული ჩარევა, ტრანსპორტირება.
ჩოხატაური. ამირან ჭეიშვილი.

(593) 531391, (599) 784506.

ყურადღება!

დამკრძალავი ბიურო გთავაზობთ მომსახურებას:
მაცივარი და ჩაცმა 60 ლარიდან, გამზადებული სასახლეები 180 ლარიდან, სუდარა, საფლავის ამოღება, კატაფალკა, ეკვდერის დამზადება, მარმარილოს ქვები.
სრული სერვისის შემთხვევაში სუდარა უფასოდ.

(599) 903501, (579) 231023,

სამშენებლო ბლოკი

გაისნა ახალი საწარმო.
ვამზადებთ მაღალი
ხარისხის სამშენებლო ბლოკს:
12-15-20-სანტიმეტრიანი.



ჩოხატაური, სოფელი დაბლაციხე (სტადიონთან).
ტელ: (599) 797312, (595)321454.

ყურადღება!

ვიბარებ ნებისმიერი წონის ღორებს. უმაღლეს ფასებში.

(593) 223336 _ გელა.
(595) 242327 _ ბექა.

ყურადღება!

მოვუვლი მოხუცს.
შესაძლებელია მასთან სახლში დარჩენაც.

ტელ: (574) 010896, ინგა.

უფასო განცხადებები

იყიდება

ელექტრო საცხობი.
ჩოხატაური, ტელ: (574) 086078.

კაკლის ხის გასაშლელი მაგიდა, 15 ადგილიანი. გერმანული ხალიჩა 2/3-ზე. წიგნის თარო 2 ცალი დასაშლელი გარაჟი თუნუქის სახურავით, რკინის კარით. ტელ: (599) 202521.

"ზიმფერის" ფირმის ელექტრო ღუმელი. ტელ: (595) 185715.

შეშა. ტელ: (577) 725854.

ავტოფარეხი, 16 კვმ. რკინის ფირფიტებით გაკეთებული, გამოდგება "კუხნადაც". ფასი შეთანხმებით.
ტელ: (599) 198217.

რუსეთის არმატურა, 22-იანი, 186 ცალი, 2.5 მ-იანები.
ტელ: (568) 809690.

100 ცალი აკაციის ბოძი, 2.2 მ-იანები.
ტელ: (595) 478498.

წისქვილი ფაზანოლიანი, 62 სმ-იანი ქვით. ტელ: (599) 376292.

ბავშვის ლოგინი, მრავალფუნქციური, სარწეველით, ლეიბით, მატრასით, 6 დიდი უჯრით, კარგ მდგომარეობაში. ფასი 300 ლარი.
ტელ: (551) 086577.

გაზის გამათბობელი. რკინის ბატარეები სხვადასხვა ზომის. ფასი შეთანხმებით. ტელ: (599) 776855, (557) 233896.

გერმანული ხარისხის "ლამინირებული იატაკი", 9 კვმ. ფასი 120 ლარი.
ტელ: (551) 086577.

XBOX, ახალი, 12 ცალი თავისი დისკებით (ორიგინალი). ფასი 650 ლარი.
ტელ: (551) 086577.

თხმელას ხეები, მოსაჭრელი, სამასალედ. ჩოხატაური, სოფ. გოგოლესუბანი. ტელ: (593) 212542.

სამზარეულოს მაგიდა, სკამებით, ახალი. ჩოხატაური, ტელ: (593) 428723.

ბამბუკის მესერი. ჩოხატაური.
ტელ: (599) 128311, (790) 310804.

გაზის გამათბობელი "კარმა", მეორადი, კარგ მდგომარეობაში, შელავათიან ფასში. ტელ: (593) 309320.

ჩოხატაურში, გუთური-ჩაისუბნის საზღვართან, 2-სართულიანი ქვის სახლი, ბუნებრივი აირით.
ტელ: (595) 612975, (593) 374036.

40 კვმ. კომერციული ფართი, ჩოხატაურში, საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე.
ტელ: (595) 948148.

ჩოხატაურში, სოფ. გოგოლესუბანში, 2-სართულიანი სახლი, 0.75 ჰა მიწის ნაკვეთით, თხილის და ხეხილის ბაღებით. ტელ: (568) 612438.

ჩოხატაურის ცენტრში, დუმბაძის 21-ში, კინო-თეატრის გვერდით, 230 კვმ. მიწის ნაკვეთი.
ტელ: (514) 415353.

ოზურგეთში, რუსთაველის 85-ში, ბელეტაჟი სახლი.
ტელ: (598) 284418.

ოზურგეთში 2-ოთახიანი ბინა, ლოჯიით, მეორე სართულზე.
ტელ: (599) 490800, ენვერი.

ორსართულიანი, კეთილმოწყობილი სახლი, 500 კვ.მ, 1400 კვ.მ. მიწის ფართობით, ბუხარით, ორივე სართულზე სველი წერტილი. ავტოფარეხით.
ოზურგეთი, ლომთათიძის ქ.#4.
ფასი: 29000 დოლარი.
ტელ: (571) 390265; (591) 118555.

ჩოხატაურში, საკოლმეურნეო ბაზართან, უნივერმაღის გვერდით, 45 კვმ. ფართის შენობა.
ტელ: (591) 154545.

ჩოხატაურში, ყოფილ სახანძროსთან, 50 კვმ. მიწის ნაკვეთი.
ტელ: (591) 154545.

ჩოხატაურში, სასამართლოს შენობასთან ახლოს, სახლი.
ტელ: (558) 447300.

6 ჰა მიწის ნაკვეთი, შეRობილი. 1 კვმ. _ 3 ლარი.
ტელ: (599) 067400.

ჩოხატაურში, სოფ. გუთურში, 2-სართულიანი სახლი სველი წერტილებით, ბუნებრივი აირით, მიწის ნაკვეთით, ვაზით ("ცოლიკაური"). ფასი შეთანხმებით.
ტელ: (593) 947227.

სასწრაფოდ, ავტომანქანა "აუდი 100".
ტელ: (558) 447300.

ავტომანქანა "ოპელ ექსტრა" სედანი, ძრავი 1.6, ბენზინზე, 1998 წლის გამოშვება. კარგ მდგომარეობაში.
ტელ: (551) 175338, დოდო.

ავტომანქანა "ოპელ ასტრა" ფურგონი, 1996 წლის გამოშვება, კარგ მდგომარეობაში, ელექტრო შუშებით, კონდიციონერით, ABS, ჰიდრავლიკა, 1.6-იანი ძრავით.
ტელ: (598) 808908, გიორგი.

ავტომანქანა "ვილისის" დიფერები და სხვა ნაწილები. "კუხნა" სახლი, 5/5-ზე, რკინის მილი, 10 მ. 2,7 მმ. ტრანსფორმატორი, 110-220 ვ.
ტელ: (557) 577058.

მამალი ცხენი, 5 წლის, დაწმენდილი. ფასი შეთანხმებით.
ტელ: (551) 175338, დოდო.

ღვინო "ცოლიკაური", 400 ლიტრი.
ტელ: (574) 053485.

18-22 კგ-იანი ბურვაკები.
ტელ: (593) 356757.

კივის ნერგები.
ტელ: (558) 976064.

მაკე ძროხა, მეორე ხბოობა.
ფასი შეთანხმებით.
ტელ; (599) 414030.

3 წლის და 5 თვის მაკე ფური და 2 წლის ფური.
ტელ: (555) 350189, (593) 309320, (790) 950189.

კარგი ჯიშის ძროხა, 6 თვის მაკე, მეორე ხბოობა, 8 ლიტრი წველადობის, 9 თვის მოზვერი ხბოთი. შეიძლება გაიყიდოს ცალ-ცალკეც.
ტელ: (599) 607585.

100 კგ-იანი ფური.
ტელ: (555) 549338.

უშობელი, 150 კგ-იანი. 2-ტონიანი ნავთის ავზი. ტელ: (577) 926243.

80 კგ-იანი ღორი. ღვინო "ადესა".
ტელ: (595) 752729.

90 კგ-მდე ღორი. ფასი შეთანხმებით.
ტელ: (568) 830104, (790) 428717.

ტახი ღორი, 90 კგ.
ტელ: (557) 641700.

3 თხა, თებერვალში თიკანმოსაგები.
ტელ: (595) 423400.

სამკურნალო ალოე, 25-30 წლის.
ჩოხატაური.
ტელ: (790) 559186, (557) 934867.

ქირავდება!

ჩოხატაურის ცენტრში, სასაწყობე ფართი.
ტელ: (577) 957903.

შეეძიქენ!

კომერციულ ფართს, ჩოხატაურის ცენტრში. ტელ: (593) 909343.

200 ცალ აკაციის ბოძს.
ტელ: (599) 166389.

ყურადღება!

დამეკარგა შავი ფერის მოზვერი, კისერში ჯაჭვით, წლინახევრის. მპოვნელი დასაჩუქრდება.
ტელ: (577) 534475.

უფასო განცხადების ტალონი №101

.....

.....

.....

.....

.....

.....

ტელეფონი: .....

ნინა მგელაძე

40 დღის წინ ჩვენ გვერდით იყავი... ქალბატონი, რომელმაც ღირსეულად იცხოვრე, დიდებული მეუღლის შეუდარებელი მეგობარი იყავი, ავ-კარგიანი, სტუმართმოყვარე, ჭირისა და ლხინის გამზიარებელი. მერე, როცა მეუღლე გარდაგეცვალა, შენ იყავი ოჯახის "გამგებელი". ჩვენ, შვილებს, რომლებსაც სერიოზული საქმე გვებარა, მაინც შენი იმედი გვქონდა. იყავი სამართლიანი და მომთხოვნი არა მარტო შვილების, არამედ საკუთარი თავის მიმართ. ასე ემსახურებოდი წლების მანძილზე ჯანმრთელობის სისტემას. სიბერის ჟამს საშინელემა დაგატყდა თავს _ სალოცავი ვაჟის გარდაცვალებამ გაგანადგურა. ტკივილმა დაგამძიმა, მაგრამ არ გაბოროტებულხარ. სიკეთესა და სიყვარულს გვინაწილებდი ყველას. უკვე გვტკივა და ვგრძნობთ უშენობას.

ოჯახი



ანზორ სალია ოჯახით, ღრმა მწუხარებით იუწყება უახლოესი მეგობრის

არსენ თავბერიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს, დას, დისშვილებს და ახლობლებს.

და მაყვალა, სიძე რეზო მამალაძე, დისშვილები ელგუჯა და ელდარი, რძალი ნონა შენგელია, ნინო სანიკიძე და დისშვილიშვილები ვიზიარებთ ოჯახის მწუხარებას

ლუბა პროკობის ასული ხიზანეიშვილის

გარდაცვალების გამო.

თემურ ბენდელიანი ოჯახით თანაუგრძნობს ზაურ და პაატა ოსეფაიშვილებს ძმის

ნოდარის

გარდაცვალების გამო.

ნანული დოლიძე, ბიჭიკო პეტრეს ძე სიხარულიძე, გია გოგიბერიძე ოჯახით თანაუგრძნობენ ცაცა, ჟუჟუნა, ანზორ ჯიბლაძეებს დის, ქალბატონი

ეთერ ჯიბლაძის

გარდაცვალების გამო.

ავთანდილ, გულნარა ხიზანეიშვილები ოჯახით გულისტკივილით იუწყებიან

ლუბა ხიზანეიშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახის წევრებს.

რეზო ოსეფაიშვილი ოჯახით თანაუგრძნობს ზაურ და პაატა ოსეფაიშვილებს ძმის

ნოდარის

გარდაცვალების გამო.

ავთანდილ ზამბახიძე ოჯახით იუწყება

ლეო ახალაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს და ახლობლებს.

მწუხარებაში მყოფი ოჯახი: მეუღლე ცისანა, შვილები ალექსანდრე და მანანა, ძმები კოტე და ავთო ცხომელიძეები, რძლები ეკა ჩხაიძე, გიული მარგალიტაძე, ფოთოლა ლეჟავა, სიძე გოჩა ძნელაძე, შვილიშვილები ზურა და ლიზი ძნელაძეები, ელენე ცხომელიძე, დისშვილები, ძმისშვილები იუწყებიან,

რომან ალფესის ძე ცხომელიძის

გარდაცვალებას.



მეუღლე რუსუდან ბერიშვილი, შვილები ავთანდილ, ტარიელ თოლორდავები, შვილიშვილები გიორგი, რუსუდან, მარიამ თოლორდავები, ძმა გულივერ თოლორდავა, რძლები ლიანა სირაძე, ლუიზა თავბერიძე, ნინო ობოლაძე, მარიცა ოსეფაიშვილი, ძმისშვილები ევგენი, ირმა, ალექსანდრე, ცირა, გუგული, ლაშა თოლორდავები, ცოლისდა იზოლდა ბერიშვილი, ქვისლები ჯემალ ჩანტლაძე, ნუგზარ კეკლიძე, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ანზორ ევგენის ძე თოლორდავა.

პანაშვიდი: ოთხშაბათს, 23 XII.

დაკრძალვა: ხუთშაბათს, 24 XII, 15 საათზე.

ჩოხატაური, სოფელი ქვემოერკეთი.

ზაალ მამალაძე ოჯახით თანაუგრძნობს ქალბატონ რუსუდან ბერიშვილს, ოჯახს და ახლობლებს

ანზორ თოლორდავას

გარდაცვალების გამო.

ია მამალაძე, გიორგი სიხარულიძე ოჯახით თანაუგრძნობენ რუსუდან ბერიშვილს მეუღლის

ანზორ თოლორდავას

გარდაცვალების გამო.

ფატიმა, ლევან ბაიაჯანები ოჯახით თანაუგრძნობენ ზაურ, პაატა ოსეფაიშვილების ოჯახებს ძმის

ნოდარის

გარდაცვალების გამო.

ტურფა კიკვაძე ოჯახით თანაუგრძნობს პაატა, ზაურ ოსეფაიშვილებს ძმის

ნოდარის

გარდაცვალების გამო.

გოჩა ჯინჭარაძე ოჯახით თანაუგრძნობს ზაურ და პაატა ოსეფაიშვილების ოჯახებს ძმის

ნოდარ ოსეფაიშვილის

გარდაცვალების გამო.

ანა შარაშენიძე თანაუგრძნობს ზაურ ოსეფაიშვილს ძმის

ნოდარის

გარდაცვალების გამო.

ამუ ბერძენიშვილის მონატრება

ჩვენო მონატრებულო ამუ, გილოცავთ დაბადების დღეს. 21 დეკემბერს 59 წლის გახდებოდი, მოვალთ შენს საფლავთან და მოგილოცავთ ყველა შენი საყვარელი და კეთილი ხალხი. უფალს ვთხოვთ, ნათელში გვიმყოფოს შენი სული. გვიყვარხარ და გვენატრები.

ოჯახი

ტარიელ ბერაძე ოჯახით თანაუგრძნობს ზაურ და პაატა ოსეფაშვილების ოჯახებს ძმის

ნოდარის

გარდაცვალების გამო.

ხევის სკოლის პედკოლექტივი იუწყება ღვაწლმოსილი პედაგოგის

ლუბა ხიზანეიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გოჩა, მაიკო ჟღენტები ოჯახით თანაუგრძნობენ ზაურ, პაატა ოსეფაიშვილებს ძმის

ნოდარის

გარდაცვალების გამო.

შალვა შარაშიძე ოჯახით თანაუგრძნობს ავთო სიხარულიძის ოჯახს

სიმონა დოლიძის

გარდაცვალების გამო.

მანანა უჯმაჯურიძე, შალვა შარაშიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ნოდარ ოსეფაიშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

მერაბ ხუნდაძე ოჯახით თანაუგრძნობს ზაურ, პაატა ოსეფაიშვილების ოჯახებს ძმის

ნოდარის

გარდაცვალების გამო.

დარეჯან სიხარულიძე, მედიკო ცინცაძე თანაუგრძნობენ პაატა, ზაურ ოსეფაიშვილებს ძმის

ნოდარის

გარდაცვალების გამო.

ვახტანგ მეფარიშვილი ოჯახით თანაუგრძნობს ზაურ, პაატა ოსეფაიშვილებს, მათ ოჯახებს ძმის

ნოდარ ოსეფაშვილის

გარდაცვალების გამო.

შუა ამაღლების საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს ზოია ჯიბლაძეს მამიდის

ეთერის

გარდაცვალების გამო.

ნოშრევან კობიძის ოჯახი იუწყება

ეთერ ჯიბლაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს და ახლობლებს.

კოხნარის საჯარო სკოლის პედკოლექტივი იუწყება ყოფილი თანამშრომლის, საუკეთესო პიროვნების

ლეო ახალაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

იზო ხინთიბიძე ტყეშელიაძე

40 დღე 40 საუკუნედ მეჩვენება, დე. გაუსაძლისად მომენატრე, სულ თვალწინ მიდგას შენი კეთილი, სათნო სახე. ვერ წარმომედგინა შენ გარეშე ცხოვრება, მაგრამ... შენი თათულიკა და ჯაბა მეხმარებიან ამ დიდი ტკივილის გადატანაში. რა ბედნიერი იყავი შვილიშვილების გვერდით, როგორ არ დაგცალდა... დამიჯერე, შენს სახელს სამარადჟამო ხსენება ექნება შენს მონაგარში. უფალს ებარებოდე, ჩემო ტკბილო დედიკო.

შენი თამუნია

რაინდი (ბუხუტი) ალექსანდრეს ძე სიხარულიძე

2008 წლის 21 დეკემბრის ცივმა დილამ წამართვა შენი სიცოცხლე. ჩამოიფერფლა მწუხარე მეშვიდე წელი, ძალიან ვწუხვარ, იმედო ჩემო. გილოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს, ჩემო დიდო ტკივილო.

შემზარავია, რომ აღარ ხარ, ვაიმე, როგორ მიკვდება გული, აღარ დაბრუნდები, იმედო ჩემო, რადგან შენ უსასრულო უკვდავებაში ხარ გადასული.

მეუღლე ნორა, შვილები, შვილიშვილები, სიძეები



ელიკო და ვეფხვია! თანაგიგრძნობთ მამისა და ბაბუის

აკაკი ბერძენიშვილის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები ტარიელ კუკულავა, ნინო შარაშენიძე, ჯონი ცინცაძე, ზაურ კუკულავა ოჯახებით, რეზო ლომთაძის ოჯახი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენრტის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ზაურ, პაატა ოსეფაიშვილებს ძმის

ნოდარის

გარდაცვალების გამო.

ანსამბლ "ნართის" ხელმძღვანელი ქალბატონი ვარდიკო თოდრია და ანსამბლის წევრები თანაუგრძნობენ ბატონ ზაურ ოსეფაიშვილს ძმის

ნოდარის

გარდაცვალების გამო.

ბაჩი გოგიბერიძე ოჯახით თანაუგრძნობს ზაურ, პაატა ოსეფაიშვილების ოჯახებს ძმის

ნოდარის

გარდაცვალების გამო.

საქამიასერის საბავშვო ბაღის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ გულნარა, სოსო ჭკუასელებს საყვარელი დის და ცოლისდის

მზია მეგრელის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები იუწყებიან კაცური კაცის, კარგი მეზობლის

ლეო ახალაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს და ახლობლებს.

გაზეთ **"გურია ნიუსის"** რედაქცია თანაუგრძნობს ოჯახებს და ახლობლებს **_ აკაკი ილიას ძე ბერძენიშვილის, ანზორ ევგენის ძე თოლორდავას** გარდაცვალების გამო.

ტრისტან ბიბინეიშვილის გახსენება

5 წელი სრულდება, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ, ჩემო საყვარელო მამიკო! საოცრად მაკლიხარ, ძალიან მტკივა, ვერაფერი შემივსებს უშენობას. იცოდე, ყოველდღე, ყოველ წუთს მახსოვხარ. ღმერთს ვევედრები, დაგიმკვიდროს სასუფეველი ცათა!

ნინო, ოჯახი



შვილები ელიკო, რამაზი, დედმამიშვილები გური, თამარა, ვარდიკო, რძლები, სიძეები, შვილიშვილები, შვილთაშვილები და უახლოესი ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

აკაკი ილიას ძე ბერძენიშვილი.

დაკრძალვა: 19 XII.

ჩოხატაური, სოფელი შუაფარცხმა.

თენგო ოსეფაიშვილი ოჯახით, ღრმა მწუხარებით იუწყება

ნოდარ ოსეფაიშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს, ახლობლებს.

მანანა კიკვაძე იუწყება უძვირფასესი

ნოდარის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს პაატა, ზაურ ოსეფაიშვილების ოჯახებს.

გურამ, ანზორ ლორიები ოჯახებით იუწყებიან ბიძაშვილის

ჯუმბერ ლორიას

გარდაცვალებას.

ზაურ და პაატა ოსეფაიშვილებს!

თანაგიგრძნობთ საყვარელი ძმის

ნოდარ ოსეფაიშვილის

გარდაცვალების გამო.

ნანა, ვანო ნინუები

გოგოლესუბნის საბავშვო ბაღის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ გულნაზი და კაკო სიხარულიძეებს ძმისა და ცოლისძმის

სიმონ დოლიძის

გარდაცვალების გამო.

ჯემალ, ლიმერ ცხოიძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ ნანა, თედორე, ალეკო ცხოიძეებს ქალბატონი

ლუბას

გარდაცვალების გამო.

მარინა, მზია რამიშვილები იუწყებიან მამიდას

ცისანა რამიშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ შვილებს, ახლობლებს.

ბაჩი გოგიბერიძე ოჯახით თანაუგრძნობს ანტონ ხუნდაძის ოჯახს მძახლის

ნოდარ ოსეფაიშვილის

გარდაცვალების გამო.

ჯუმბერ და ზინა თავართქილაძეებს! ვიზიარებთ თქვენს მწუხარებას

ცისანას

გარდაცვალების გამო.

დოდო თავართქილაძე, დათო მდინარაძე ოჯახით

ილო შარაშიძე თანაუგრძნობს ზაურ და პაატა ოსეფაიშვილებს ძმის

ნოდარის

გარდაცვალების გამო.

ნიკა კაჭარავა: ვგრძნობ, წასვლის დროა...

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი ნიკა კაჭარავაა. შემთხვევითი არ არის, რომ 21 წლის ფორვარდი 13 გოლით ბომბარდირთა დავას ლიდერობს. კაჭარავა ძალიან კარგი ფორვარდია, ემარჯვება მაღალ ბურთებზე თამაში და ტანმაღალი შემტევი მწყრალად არც ტექნიკასთან არის. კაჭარავას გაცილებით მაღალ დონეზე შეუძლია თამაში, ვიდრე საქართველოს ჩემპიონატია. ნიკას ფეხბურთი გენში აქვს. ის ახლო წარსულში თბილისის "დინამოს" ფორვარდის, კახა კაჭარავას ვაჟია.

_ნიკა, შეაფასეთ თქვენთვის და გუნდისთვის სეზონის პირველი ნახევარი...

_ კარგი პირველი ნახევარი გამოვიდა ჩემთვისაც და გუნდისთვისაც. "ცხინვალმა" მიზნად სამეულში ყოფნა დაისახა და ეს ამოცანა შესრულებულია. ჩემს პირად გარჯას რაც შეეხება, უკმაყოფილო არ ვარ, თუნდაც - სტატისტიკური მაჩვენებლებით. აქვე, მინდა ვთქვა, რომ სტატისტიკა ჩემთვის მთავარი არასოდეს ყოფილა. მთავარია გუნდის შედეგი. ამ მხრივ კი ყველაფერი კარგადაა...

_ 13 გოლით საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ხართ. რას ნიშნავს თქვენთვის ეს და რამ მოიტანა ასეთი შედეგი?

_ რა თქმა უნდა, ეს ძალიან სასიამოვნოა და ამაზე ყველა ფორვარდი ოცნებობს. ამას გარდა, მინდა, პარტნიორების გარჯა დავაფასო. რომ არა ისინი, ვერ ვიქნებოდი ბომბარდირთა სათავეში. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ ფეხბურთი გუნდური თამაშია.

_ ბომბარდირთა დავაში რამდენიმე კონკურენტის, რომ იტყვიან, სუნთქვა გესმით _ გიორგი ქვილითაია, ოთარ მარცვალაძე, ირაკლი ბერიაშვილი, ირაკლი სიხარულიძე... ისინი და, შეიძლება, სხვებიც, ცდას არ დააკლებენ, რომ გადაგასწრონ...

_ ყველა ამ ფეხბურთელს უდიდეს პატივს ვცემ. მე მათ ირაკლი მოდებაძესაც დავამატებდი. ტრავმის გამო მას რამდენიმე მატჩი გაუცდა, თორემ კიდევ მეტს გაიტანდა.

_ "ცხინვალზეც" გკითხავთ. თუნდაც საქართველოს კვალობაზე გუნდს არ ჰყავს ვარსკვლავური შემადგენლობა. მაშ, რის ხარჯზე იგებთ თამაშებს?

_ თამამად ვიტყვი, რომ დღეს საქართველოს ჩემპიონატში ჩვენი გუნდი ყველაზე შეკრულია და ეს განწყობა მინდორზეც გადადის. ჩვენთან ეგოიზმი გამორიცხულია. ხშირად ყოფილა, ფეხბურთელს თავადაც შესძლებია გატანა და უკეთეს სიტუაციაში მყოფი პარტნიორისთვის გადაუწოდებია ბურთი... სხვათა შორის, ჩემი გოლები ამ ფაქტორის დამსახურებაცაა. მეორე მომენტიცაა _ "ცხინვალი" ყველა შეხვედრაში სანახაობრივ, შემტევ ფეხბურთს ანიჭებს უპირატესობას. საერთოდ, მახარებს ის ფაქტი, რომ ბოლო დროს საქართველოს ჩემპიონატში გოლებმა და სანახაობამ იმატა. ჩვენ ვნახეთ, რომ ტურებში ძალიან ხშირად გადის ბევრი გოლი... აგერ, თუნდაც ბოლო ტურში "საბურთალო"-"ტორპედოს" მატჩი (4:4) რად ღირს...

_ მაინც, როგორ აფასებთ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს? რა დონის ტურნირია?

_ აქ ძალიან ძნელია თამაში. მინდორზე გადიხარ და 300-400 მაყურებლის წინაშე თამაშობ. არადა, ბევრი გულშემატკივარი დიდი მოტივაციაა ფეხბურთელისათვის. მინდა, რომ ჩვენი ჩემპიონატის მატჩებზე მეტმა ხალხმა იაროს.

_ ქომაგს ასეთი არგუმენტი აქვს: რატომ ვიაროთ საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზე, დონე დაბალზე დაბალიაო?!.

_ რა თქმა უნდა, ეს არგუმენტია. თუმცა მე ამ საკითხს მეორე მხრიდან შეეხედავდი - საზღვარგარეთ, სამოყვარულო ლიგის მატჩებზეც კი მეტი მაყურებელი დადის, ვიდრე ჩვენი ჩემპიონატის თამაშებზე. არ მგონია, საქართველოს პირველობაზე უფრო დაბალი დონე იყოს, ვიდრე ევროპის თუნდაც სამოყვარულო ლიგაში. დამიჯერეთ _ ფეხბურთელი მინდორზე რომ გადის და ტრიბუნაზე მაყურებელს ვერ ხედავს, მორალურად კვდება.

_ სხვა რა მახასიათებელი აქვს საქართველოს ჩემპიონატს?

_ აქ თამაში ყველანაირად რთულია. არიან გუნდები, რომლებისგანაც არ იცი, რას და როდის უნდა ელოდო. სპონტანურად თამაშობენ. დალაგებულ, აწყობილ გუნდზე იფიქრებ ბევრს, გააანალიზებ, მის პლუსებსა და მინუსებს აწონ-დაწონი... ჩვენთან კი არიან გუნდები, რომლებთან მიმართებაშიც ამის გაკეთება ძალიან რთულია.

_ როგორ შეაფასებდით ჩვენი მოედნების სადღეისო მდგომარეობას?

_ რა თქმა უნდა, ამ მხრივ ძალიან გვიჭირს. დღეს საქართველოს ჩემპიონატში რამდენი კარგი მინდორი გვაქვს? ალბათ, მხოლოდ "დინამო არენასა" და "მიხეილ მესხზე". ამასწინათ, გორში ვითამაშე ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში და იქაური მინდვრის საფარი ისეთი აღარ არის, როგორიც ადრე იყო. 16 გუნდზე ორი კარგი სტადიონი, მგონი, ძალიან ცოტაა.

_ და მაინც, თუნდაც თქვენი მაგალითი გვაფიქრებინებს, რომ საქართველოს ჩემპიონატშიც შეუძლია ფეხბურთელს მომატება...

_ გეთანხმებით, შესაძლებელია. მე ასე მგონია _ უმჯობესია, ახალგაზრდა ფეხბურთელმა ჯერ საქართველოში დაამტკიცოს თავისი შესაძლებლობები და მხოლოდ ამის შემდეგ იფიქროს უცხოეთში ძალების მოსინჯვაზე. არ დავმალავ, ზაფხულში მქონდა შემოთავაზებები, მაგრამ არ ვიჩქარე. მირჩევნია, იმ გუნდში ვითამაშო, სადაც სათამაშო პრაქტიკა და ნდობა მექნება. საქართველოს ჩემპიონატში მომატება შეიძლება, მაგრამ აუცილებლად დგება მომენტი, როცა აქ მეტს ველარ გაიზრდები და უნდა წახვიდე.

_ მგონი, თქვენს კარიერაშიც მოვიდა ეს დრო... _ მეც ასე ვგრძნობ, მაგრამ ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო. ჩემი პრინციპი არის ერთი - მივალ მხოლოდ ისეთ გუნდში, სადაც სათამაშო პრაქტიკა მექნება. გამორიცხულია, ისეთ კლუბში წავიდე, სადაც არ ვითამაშებ. სკამზე ჯდომა დამღუპველია ფეხბურთელის კარიერისთვის.

_ თუ საიდუმლო არ არის, რომელი ქვეყნის კლუბებიდან გაქვთ შეთავაზებები?

_ რუსეთიდან, არიან ევროპული კლუბებიც. ჯერ კონკრეტული მართლა არაფერია.

_ რა არის ნიკა კაჭარავას საფეხბურთო ოცნება?

_ ორი ოცნება მაქვს: ვითამაშო საქართველოს ეროვნულ ნაკრებში და ესპანეთის ჩემპიონატში, რომელიც ძალიან მიყვარს. მაგრამ საქართველოდან ესპანეთში მოხვედრა ძალიან რთულია, იქამდე ეტაპობრივად უნდა მიხვიდე.

_ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ძირითადი ფორვარდი ხართ. მიუხედავად იმისა, რომ "სიკვდილის ჯგუფში" მოვხვდით, ამ დროისთვის უკეთესი შედეგის იმედი გვქონდა...

_ თაობა, მართლაც, ძალიან კარგია. რაც შეეხება შედეგს, არავინ ვართ კმაყოფილი. არც კი ვიცი, რა ვთქვა... რამდენჯერმე არ გაგვიმართლა. თუნდაც ბოლო საშინაო მატჩი ავიღოთ, შვედეთთან. ძალიან ბევრი შანსი მქონდა და უნდა გამეტანა...

sportall.ge

ფიდეს განახლებულ რეიტინგში 10 ქართველია

წინა თვის შედეგების გათვალისწინებით, ფიდემ ქალ-ვაჟთა განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნა, რომლებშიც 10 ქართველია.

მანდილოსნებში მეოთხე ადგილზეა ნანა ძაგნიძე. ათეულის სათავეშია ჩინელი ჰოუ იფანი (2683). მერე მოდიან: ჰამპი კონერუ (ინდოეთი, 2583), მარია მუზიჩუკი (უკრაინა, 2561), ნანა ძაგნიძე (საქართველო, 2559), ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი, 2543), ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2542), ანა მუზიჩუკი (უკრაინა, 2535), ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა, 2534), კატერინა ლაგნო (რუსეთი, 2529), პია კრამლინგი (შვედეთი, 2523)... 15. ნინო ბაციაშვილი (2498), 16. ბელა ხოტენაშვილი (2496), 21. ლელა ჯავახიშვილი (2486), 35. სალომე მელია (2452), 49. ნინო ხურციძე (2432), 72. მერი არაბიძე (2390), 97. სოფიო გურამიშვილი (2368), 99. მაია ლომინეიშვილი (2365).

ვაჟებში 2834 პუნქტით უწინდებურად ნორვეგიელი მსოფლიოს ჩემპიონი მაგნუს კარლსენი მეწინავეობს. მის გარდა, პირველ ათეულში არიან: ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2803), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2796), ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2796), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2793), ლევონ არონიანი (სომხეთი, 2788), ფაბიანო კარუანა (აშშ, 2787), ანიშ გირი (ჰოლანდია, 2784), დინ ლიჟენი (ჩინეთი, 2778), უესლი სო (აშშ, 2775). ბაადურ ჯობავა 2673 პუნქტით 70-ეა.

sportall.ge

მილოცვები

ნაბო გოგელიას!

ჩვენო ნატალია, გილოცავთ დაბადების დღეს. იყავი მუდამ ასეთი ლაღი და ენერგიული. უამრავ სიხარულს და ლამაზ დღეს გისურვებთ შენს ოჯახთან და საყვარელ ადამიანებთან ერთად.

სიყვარულით, ნიუსელები

მადლობა

დაგვიანებული მადლობა, შვილო ზალიკო!

უსაზღვროდ შეძრწუნებული ვარ მომხდარით, ვაი, სირცხვილო. 2011 წელს, სასიკვდილოდ განწირულს, ჩემი შვილის თანაკლასელები დამეხმარეთ. 2015 წელს საკუთარი ჯიბის ფული გაუგზავნე ჩემს უმუშევარ სიძეს და შვილს თბილისში. ნუთუ სანთელ-საკმეველმა თავისი გზა დაკარგა?! უფალმა დაგიფაროს.

*ბუხუტი სიხარულიძის ოჯახიდან_*
ნორა, მაია, მაგდა სიხარულიძეები

მინდა, ჩემი მადლიერება და პატივისცემა გამოვხატო ქალაქ ოზურგეთის მერის, ბატონ **ბეგი სიორიძის** მიმართ და მას საჯაროდ გადავუხადო მადლობა იმ თანადგომისა და ყურადღებისათვის, რომელიც მან ჩემ მიმართ გამოიჩინა. რომ არა მისი საოცარი გულისხმიერება, მე, როგორც დიაბეტით დაავადებული, ვერ შევძლებდი ექიმთან მისვლას და მკურნალობის დაწყებას. მან ჩემი სოცოცხლე გადაარჩინა. ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო საკრებულოს თავმჯდომარეს **გელა კობალაძეს**, ვიცე-მერს **ალეკო ბურჭულაძეს**, მერის მოადგილეს **კობა დუნდუას** და ქალაქის სოციალური სამსახურის უფროსს, **თამარ დუმბაძეს**. მათი ძალისხმევის შედეგად დავსაქმდი და ეს ყურადღება დღემდე გრძელდება. ბატონო ბეგი, ჩემი ოჯახი იმ სამოც ოჯახთაგან ერთ-ერთია, რომელთაც თქვენ საახალწლოდ საკუთარი ბინით უზრუნველყოფთ. კიდევ ერთხელ მადლობას გიხდით იმ მზრუნველობისთვის, რომელსაც თქვენ თითოეული ადამიანის მიმართ იჩენთ!

პატივისცემით, ნანა ჯულელი

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კლინიკა **"მამქოლის"** ხელმძღვანელობას, მედპერსონალს, ჩემს უშუალო ექიმს, ქირურგ **ლევან ბაიაჯანს,** საოპერაციო ბლოკის ყველა თანამშრომელს ჩემდამი გამოჩენილი ყურადღებისთვის, გულისხმიერებისთვის. ღმერთმა დაგლოცოთ და მრავალ შობა-ახალ წელს დაგასწროთ.

ვილენ ჟღენტი

მადლობას ვუხდი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ **ირაკლი კუჭავას**, რომელმაც გულთან მიიტანა ჩემი ოჯახის გასაჭირი და დიდი დახმარება გამიწია.

ლეილა ჭელიძე, სოფელ ქვაბღიდან

ამინდის პროგნოზი გურიაში



ვალუტის კურსი

1 GEL		კურსი
USD		2.4078
EUR		2.5759
GBP		3.6842
RUB		0.3712

გურია NEWS